აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№26 (25.154) 12 ივლისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში და მთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს - საღამოს და ღამის საათებში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, ბათუმში, გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალ რეგიონულ ოფისში სამუშაო პროცესს გაეცნო

შენობაში განთავსდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის, მიკრობიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, იქთიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და კვლევითი სფეროს სპეციფიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. მინისტრის განმარტებით, გარემოსდაცვით სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეც აისახება. „ჩვენ დავასრულეთ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისის მშენებლობა, სადაც მოწყობილია სრულიად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელშიც განხორციელდება კვლევები ნიადაგის, ჰაერის და წყლის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით. რეგულარულად ვახორციელებთ შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე. მონიტორინგის შედეგით, შავი ზღვის წყლის ხარისხი დადგენილ ნორმებს შეესაბამება. სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებაა, რაზეც ვაგრძელებთ მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური ოფისის და ლაბორატორიის მოწყობის მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია ქალაქ ქუთაისშიც“,- აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა თორნიკე რიჟვაძემ, გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ოფისის გახსნა მიულოცა და ხაზი გაუსვა, რომ ლაბორატორიაში განხორციელებული კვლევები მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე რეგიონში ჩამოსული დამსვენებლებისთვის. როგორც პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ ოფისი აშენდა სწორედ სახელმწიფო ინვესტიციით და ის გარემო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რასაც ოფისი იძლევა, არის საწინდარი როგორც ახალი კადრების მოზიდვისთვის, ასევე სტაჟირების იმ ანაზღაურებადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის, რომელიც სულ ახლახან დაინერგა. ბათუმის ახალ ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება საკვლევი კომპონენტების გაფართოება და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი მეთოდების დანერგვა. გაიზრდება მონიტორინგის სადგურების რიცხვი, შესაძლებელი იქნება კვლევების წარმოება უახლესი მეთოდებით, ევროკავშირის წყლისა და საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივების შესაბამისად. მნიშვნელოვნად გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობები მეთევზეობისა და აკვაკულტურის მიმართულებით როგორც საზღვაო სივრცეში, ასევე, შიდა წყალსატევებში. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, ბათუმის ლაბორატორიაში, მხოლოდ მოკლე ქიმიური ანალიზი ტარდებოდა, ხოლო სინჯები სრული ანალიზისთვის იგზავნებოდა თბილისის ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიაში.

ლევან დავითაძე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ თანამშრომლებს ახალი მოადგილე ლევან დავითაძე წარუდგინა

ლევან დავითაძე პროფესიით ეკონომისტია და საჯარო სამსახურში 10-წლიანი გამოცდილება აქვს. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე ბათუმის ვიცე-მერის თანამდებობა ეკავა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართულობა ის კრიტერიუმებია, რომლის მიხედვითაც ახალი მოადგილე შეირჩა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ოპოზიციური გაერთიანებები და ევროკავშირის უარი – საქართველოს

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საფეხბურთო ციებ-ცხელებამ ჩაიარა. ეიფორიიდან გამოვედით თუ არა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ გვამცნო, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია

ამასთან დაკავშირებით კომენტარი მან 9 ივლისს თბილისში გააკეთა, სადაც ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ევროკავშირის გაფართოება - გეოპოლიტიკური საჭიროება და შემდგომი ნაბიჯები ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებისთვის“ მიმდინარეობდა.

მისი თქმით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებასთან ერთად, ევროკავშირმა გაყინა ევროპის სამშვიდობო ფონდიდან (EPF) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი 30 მილიონი ევრო. ამის მიზეზად ჰერჩინსკი „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებას ასახელებს, იმ კანონის, რომელიც საქართველოსთან ერთად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც მიიღეს.

„27 ივნისს ევროკავშირის ლიდერებმა, პრეზიდენტებმა და პრემიერ-მინისტრებმა ბრიუსელში შეხვედრა გამართეს და მათ მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - შეათანხმეს ევროკავშირის სტრატეგიული დღის წესრიგი შემდგომი პერიოდისთვის, მიაღწიეს შეთანხმებას ევროკავშირის მომავალ ლიდერებთან დაკავშირებით, დაადასტურეს უკრაინის დაცვის მიმართ ჩვენი მტკიცე ვალდებულება და სამწუხაროდ (ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ), ისინი ასევე შეთანხმდნენ, შეეჩერებინათ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესი“, - განაცხადა ჰერჩინსკიმ.

მისივე თქმით, ევროკავშირისგან გამოყოფილი 30 მილიონი ევრო, ქართული ჯარის ნაცვლად, მოხმარდება სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ევროკავშირის ელჩის გადაწყვეტილება გაუგებარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილისთვის. მისი თქმით, საქართველოს თავდაცვას გაძლიერება ისევ სჭირდება, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მთავარი გამოწვევა ოკუპაციაა.

„მსგავსი ტიპის ფინანსური დახმარებები ემსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. ჩვენთვის გაუგებარია მსგავსი მიკროგადაწყვეტილებები, რადგან გამოწვევები უსაფრთხოების თვალსაზრისით, მათ შორის ოკუპაცია, არსად წასულა. საქართველოს კიდევ უფრო მეტად სჭირდება თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, რათა საფრთხეებთან გამკლავება უკეთ შევძლოთ. შესაბამისად, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი გადაწყვეტილებები კვლავ დაუბრუნდება ძველ ნიშნულს“, - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

ჰერჩინსკის განცხადებას შალვა პაპუაშვილის მხრიდან მოჰყვა 2014 წელს ცენტრალურ აფრიკაში სამხედრო მისიის გახსენება.

„უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც 2014 წელს ევროკავშირი თავის წევრ ქვეყნებში ვერ პოულობდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო მისიისთვის (EUFOR RCA) მონაწილეობის მსურველებს, საქართველომ („ქართული ოცნების“ ხელისუფლების გადაწყვეტილებით) 150 ჯარისკაცის გაგზავნით, ევროკავშირის ეს მისია ჩაშლას გადაარჩინა. ჩვენ ამ ურთულეს ოპერაციაში ევროკავშირის არაწევრი ერთადერთი ქვეყანა ვიყავით, სამხედრო კონტინგენტით კი მეორე ქვეყანა საფრანგეთის შემდეგ“, - აღნიშნა პაპუაშვილმა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი პაველ ჰერჩინსკის ასე პასუხობს:

„რასაკვირველია, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ყველაფერზე, მათ შორის იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც ახლახან მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა და რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყველა მიმართულებით შესანიშნავი მონაცემები აქვს. როგორ შეიძლება, ერთი მხრივ, კარგი რეიტინგი გქონდეს, ევროკავშირისა და ნატოს წევრ არაერთ ქვეყანას უსწრებდე, მეორე მხრივ, დემოკრატიას აზიანებდე იმით, რომ გამჭვირვალობას ითხოვ. პაველ ჰერჩინსკიმ სწორედ ამის თაობაზე განაცხადა, რომ პროცესი შეჩერებულია, თუმცა პროცესის შეჩერებაზე ნამდვილად ვერ დავეთანხმები. შესაძლოა, არის გარკვეული გაუგებრობები, სხვადასხვა პოზიცია პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის გამჭვირვალობის მოთხოვნა. დაძაბულობის რაიმე სხვა თემა, პრაქტიკულად, არ არსებობს“, - განაცხადა გია ვოლსკიმ.

ჩვენთან საუბარში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი თავდგირიძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ევროპული მომავალი დაცულია.

- საქართველოს მომავალი არის დაცული და გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციით. ამ მისწრაფების ერთგული ვარ და დარწმუნებული ვარ, ეს გამოწვევები გადაივლის, ჩვენი გზა იქნება უცვლელი, - გვითხრა ირაკლი თავდგირიძემ.

ოპოზიციაში კი ჟრიამულია. ჰერჩინსკის განცხადებას ყველა ისე იგებს, როგორც თავად სურს. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც უკვე, შეიძლება ითქვას, ოპოზიციის ნაწილია, აღნიშნავს, რომ აქ ნიშნის მოგების დრო არ არის.

„აშშ-ის მიერ წვრთნების გაუქმებას მოჰყვა ევროკავშირის გადაწყვეტილება - თავდაცვის ძალებისთვის გამიზნული 30 მილიონი ევროს გაყინვა. ეს პასუხია ამ ხელისუფლების ანტიევროპულ და ანტიდასავლურ რიტორიკასა და ქმედებებზე“, - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე ამ ამბავთან დაკავშირებით წუხილს გამოხატავს, თან ერთგვარ ამბიციებში იკარგება.

„ძალიან მკაფიო გზავნილია ევროპიდან და ამერიკიდან ჩვენი პარტნიორების მხრიდან. ეს არ მიხარია, მაგრამ იცოდეთ, რომ 27 ოქტომბერს აღდგება 30 მილიონი, ამის გარანტიას გაძლევთ“, - განაცხადა ვაშაძემ.

ექსპერტები ამბობენ, რომ თუ საქართველოს ევროკავშირთან სურს ურთიერთობის

აღდგენა, მაშინ „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი უკან უნდა გაიწვიონ.

ამ ფონზე, ოპოზიციური პარტიები ახალ საბრძოლო პლატფორმებს ქმნიან. არჩევნები მოახლოვდა და პარტიებმა საარჩევნო მარათონიც დაიწყეს.

„ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ - 8 ივლისს „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე ამ სახელწოდების პოლიტიკური პლატფორმის პრეზენტაცია შედგა, რომლის წევრები პარტიის თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ წარადგინა. მათ შორის არიან უპარტიოებიც, მაგრამ ისეთები, რომლებიც საკუთარ ოპოზიციურ ხასიათსა და დამოკიდებულებას პარტიის გარეშეც უპრობლემოდ ავლენდნენ. გუნდის წევრები არიან: გიორგი ვაშაძე, გია ჯაფარიძე, სოფო ჯაფარიძე, ლაშა ბაქრაძე, ანა მოსაშვილი, თამარ კორძაია, არმაზ ახვლედიანი, ირაკლი ფავლენიშვილი და ლაშა დიაროვი. საარჩევნო ნომრად „5“ აირჩიეს.

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ განაცხადა, 26 ოქტომბრის არჩევნები ქვეყნის გადარჩენის შანსია და ახლა არ არის დანაწევრების, დაპირისპირების, ამბიციების ან „ეგოების ჭიდილის“ დრო, არამედ საქართველოსთვის გაერთიანების დროა.ამ საკითხზე გავესაუბრეთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ რეზო ხარაზს:

- 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები არის უმნიშვნელოვანესი, რეალურად, ბიძინა ივანიშვილმა ეს არჩევნები რეფერენდუმად აქცია. გაერთიანებაზე ადრეც იყო საუბარი, რაც მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინიციატივა იყო. ჩვენ ეს გაერთიანება გამარჯვების ფორმულად გვესახება. ამ დრომდე ველოდებოდით სხვა ოპოზიციური პარტიებიდან კონკრეტულ წინადადებებს ამ და სხვა საკითხთან დაკავშირებით, ახლა კი რეალურად დადგა დრო, რომ დავიწყოთ ფიქრი არა მარტო პოლიტიკური ნიშნით, არამედ საზოგადოების წარმომადგენლების გაერთიანებაზე ივანიშვილის დასამარცხებლად.

ეს პროცესი არ შეჩერდება და თქვენ მომავალშიც ნახავთ ბევრ გაერთიანებას. იცით, რომ ტარდება უმაღლესი საბჭოს არჩევნები და იქ ვიქნებით ახალი სახეებით წარმოდგენილი, - აღნიშნა რეზო ხარაზმა.

ეს კვირა შეიძლება ოპოზიციური გაერთიანებების კვირად შეფასდეს. გაერთიანდნენ პარტიები „ახალი“, „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“. სლოგანიც შესაბამისი მოიფიქრეს ,,დროა, გირჩი-ოთ ახალი!“.

„ახალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აღნიშნულ პარტიებს შორის მოლაპარაკებები ხანგრძლივი და რთული იყო, ახლა კი ისინი ერთიან წინასაარჩევნო კამპანიას დაიწყებენ.

„ეს პლატფორმა შექმნილია გამარჯვებისთვის და პასუხობს მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო ამოცანებს, იგი მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე. ყველას ჩვენ-ჩვენი განსხვავებული ბიოგრაფიები გვაქვს, ჩვენ-ჩვენი - წარსული. ზოგს მოსწონს ეს, ზოგს არ მოსწონს, ზოგს ძალიან არ მოსწონს, ბევრი რამ თვითონაც არ მოგვწონს ერთმანეთის - გნებავთ შეხედულებები, გნებავთ ხედვები, გნებავთ წარსულში გადადგმული თუ არგადადგმული ნაბიჯები, მაგრამ ყველა არმოწონება ბარდება წარსულს, როდესაც საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს“, - განაცხადა გვარამიამ.

ჩვენთან საუბარში „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერი აჭარიდან თემურ გორგაძე ამბობს, რომ ეს გაერთიანება საჭირო ოყო, რათა „ქართულ ოცნებას“ პარტიებმა რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვან. მისივე თქმით, პარტია ,,გირჩი-მეტი თავისუფლება" იდეურად ყველაზე ახლოს დგას პარტია ,,დროასთან" და ,,ახალთან", ამიტომაც გაერთიანდნენ.

პარტია ,,დროას" წევრი აჭარიდან გენრი დოლიძის თქმით კი ოპოზიცია ვალდებულია, რომ საზოგადოებას შესთავაზოს არჩევანი.

- პოზიციური პოლიტიკური სპექტრი ვალდებულია, საზოგადოებას, რომელმაც იბრძოლა და წარმატებას მიაღწია, შესთავაზოს არჩევანი და ეს არჩევანი არ უნდა ჩაიკარგოს საარჩევნო ბარიერს მიღმა. ამის მყარი გარანტი კი არის მსხვილი პოლიტიკური ცენტრების შექმნა. ჩვენი პარტია ამ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე თავიდანვე აცნობიერებდა და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „გირჩისა“ და „დროას“ საერთო პოლიტიკური პლატფორმა. მაშინ, როდესაც ქვეყნის ევროპული ვექტორი კითხვითი ნიშნის ქვეშ დგას, პოლიტიკოსებმა პირადი და პარტიული ამბიციები გვერდით უნდა გადავდოთ და გავერთიანდეთ საქართველოს მომავლის გადასარჩენად. ამ მხრივ, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი და ანგარიშგასაწევი პოლიტიკური პლატფორმა ჩამოყალიბდა „ახალის“, „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ გაერთიანების სახით, რომელსაც, ვიმედოვნებ, სხვა პროდასავლური ძალებიც შემოუერთდებიან, - გვითხრა გენრი დოლიძემ.

ამ კვირაში დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“, რომლის წევრებიც არიან: ვატო შაქარიშვილი, ბიძინა გიორგობიანი, ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ლევან ნიკოლეიშვილი. როგორც ვატო შაქარიშვილმა აღნიშნა, ეს მოძრაობა არსებით სიახლეს შეიტანს იმ არაჯანსაღ პოლიტიკურ დისკურსში, რომლის მძევლადაც აქციეს ქართველი ხალხი წლების განმავლობაში როგორც ოპოზიციამ, ისე, მნიშვნელოვანწილად, ხელისუფლებამაც.

პოლიტოლოგთა აზრით, ოპოზიციური გაერთიანებები ამით არ დასრულდება და დანარჩენი პარტიებისგანაც სიახლეებს უნდა ველოდოთ.

„სასწორზე ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოება დევს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღეს ნატოს ვაშინგტონის სამიტია. მოგეხსენებათ, ალიანსი მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მომავალს აშშ-სთან, ევროკავშირთან და ჩინეთთან ერთად წყვეტს. იგი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეიქმნა, რათა დაეცვა დასავლეთ ევროპა გასაბჭოებისგან, რაც ამ ორგანიზაციამ შეასრულა და საბჭოთა კავშირთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა

*მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ჩნდება კითხვები: რა ტრანსფორმაცია განიცადა ალიანსმა? რა გამოწვევების წინაშეა? როდის გაერთიანდება ნატოში უკრაინა? როგორია ალიანსის გაფართოების პოლიტიკა და საქართველოს მოლოდინი აღნიშნული თვალსაზრისით? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი **გიორგი კოგერიძე** გვესაუბრება.*

- წლების განმავლობაში ნატომ რა ტრანსფორმაცია განიცადა და რა გამოწვევების წინაშეა იგი დღეს?

- ნატო ყოველთვის იყო თავდაცვის ალიანსი და ამადვე რჩება. ამ მხრივ მას დიდი ცვლილება არ განუცდია, თუმცა მისთვის ახალი სიცოცხლის დასაწყისი გახდა რუსეთის აგრესია უკრაინაში, რადგან არსებობდა შეხედულება, თითქოს ნატომ საკუთარი თავი ამოწურა, მტერი აღარ არსებობდა და კონტინენტზე სამუდამო მშვიდობა მიღწეული იყო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. როდესაც რუსეთმა დაიწყო აგრესია უკრაინის ტერიტორიაზე, ნატოს გაფართოების მოწშენიც გავხდით.

- რამდენად ადეკვატურად პასუხობს ნატო რუსეთიდან მომავალ საფრთხეებს?

- ალიანსის პასუხი რუსეთის აგრესიაზე ბოლომდე დამაკმაყოფილებელი არ არის. ნატოს რესურსები დეფიციტურია, რადგანაც ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა იმდენად ბევრი არ გაიღეს საკუთარი თავდაცვისთვის, რამდენსაც პროპორციულად გასცემს დიდი ბრიტანეთი და აშშ. ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი იმ რაოდენობის იარაღი არ ჰქონია თავის საწყობებში, რომ უცებ მასშტაბური ომისთვის ჰქონოდა მარაგი. ამიტომაც გახდა იმის გააზრება საჭირო, რომ ნატო უნდა გადაიარაღდეს და იარაღის წარმოება იმ დონემდე გაზარდოს, რომ მასშტაბური ომებისთვის იყოს საკმარისი.

- ახლოვდება ნატოს ვაშინგტონის სამიტი. რას უნდა ელოდოს უკრაინა მისგან?

- პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი ცივი ომის კონტექსტია აქ ძალიან საინტერესო იმ გაგებით, რომ უკრაინაში ახლა არა მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ბედი წყდება, არამედ რეალურად ამ პროცესში ჩართულია ისეთი აგრესიული რეჟიმებიც, როგორებიცაა ჩინეთი და, განსაკუთრებით, მისი მოკავშირე ჩრდილოეთ კორეა. ეს ნიშნავს, რომ ჩინეთის ხელდასმით ხდება მისი ჩართვა ამ პროცესში. ჩრდილოეთ კორეამ არა მხოლოდ დიდი რაოდენობით იარაღის მიწოდება დაიწყო რუსეთისთვის, არამედ კორეელი ინსტრუქტორებიც გაგზავნა უკრაინაში რუსეთის დასახმარებლად, რაც კიდევ უფრო ართულებს საქმეს. აქამდე ამ პროცესში ჩართული იყო ირანი, რაც ნიშნავს, რომ უკრაინის საზღვრებს გასცდა კონფლიქტი, რომელიც ცივი ომის კატეგორიებში მოიაზრება.

- ცხადია, ვიდრე უკრაინაში ომი არ დასრულდება, ამ ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებს. რამდენად დაინტერესებულია დასავლეთი ომის უმოკლეს ვადებში დასრულებით?

- კრემლი ითხოვს დაპყრობითი ომების ლეგალიზებას არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე, არამედ მსოფლიოში, იქიდან გამომდინარე, რომ თუკი ქვეყანას უფლება აქვს, თავისი „ისტორიის“ საფუძვლებზე აწარმოოს სამხედრო მოქმედებები და დაპყრობითი ომები, რატომ არ შეიძლება ეს გააკეთოს ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში? დღეს სასწორზე ევროპის და მსოფლიოს უსაფრთხოება დევს, რადგანაც თუკი დაპყრობითი ომები გახდა ლეგალური, ეს იქნება პანდორას ყუთი, რომლის გახსნის შემთხვევაში მივიღებთ კიდევ უფრო მეტ დესტაბილიზაციას. საქმე ის არის, რომ თითქმის მთელ მსოფლიოში სახელმწიფოებს აქვთ ისტორიული სადავო ტერიტორიები თავის მეზობლებთან.

- ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმა დასავლეთის გასაგონად განაცხადა, რომ ნატომ არ უნდა მიიღოს უკრაინა ამ ორგანიზაციაში...

- უკრაინა ნატოში ახლა შეიძლება არ გაწევრიანდეს, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს ქვეყანა ხდება იმ დონაციის სრულფასოვანი ბენეფიციარი, რომელსაც იღებს ნატო. პრაქტიკულად, ალიანსის ყველაზე ახლო მოკავშირედ იქცა უკრაინა. ცხადია, ომში გამარჯვების შემთხვევაში, უკრაინას ექნება ძალიან დიდი შანსი არა მხოლოდ გაწევრიანებისა ნატოში, არამედ ნატოს ერთ-ერთ ყველაზე წამყვან სახელმწიფოდ ქცევის, რადგანაც მას ექნება აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო გამოცდილება და წარმოება, რომელსაც მიაღწია ომის პერიოდში, განავითარა საკუთარ ტერიტორიაზე, მიწისქვეშეთში, მოკავშირეების ტერიტორიაზე, შექმნა დამატებითი იარაღები და ახალი კონცეფციები. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი სახელმწიფო, რაც ნიშნავს, რომ არა მხოლოდ უკრაინა იქნება დაინტერესებული ნატოთი, არამედ ნატოც - უკრაინით.

- არის მოსაზრება, რომ შესაძლოა, ნატომ ცვლილებები შეიტანოს გაფართოების საკითხში, ანუ აღარ დასჭირდეს ყველა სახელმწიფოს თანხმობა თუნდაც უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე.

- ვფიქრობ, ასეთი ცვლილება არ მოხდება. შეიძლება ვეტოს საკითხი გადაიხედოს, მაგრამ ახალი წევრის რატიფიცირება, წესით და რიგით, ყველა სახელმწიფოს მოუწევს. ძალიან რთულია, სახელმწიფო აიძულო, დაეხმაროს სხვა სახელმწიფოს, თუკი შენ მისი მიღების წინააღმდეგი იყავი, ამიტომაც, მაღალი ალბათობით, ასეთი კონსენსუსის უარყოფა ნაკლებად მოხდება. ჩვენ ვიხილეთ, თურქეთი და უნგრეთი რომ აფერხებდნენ ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანებას, მაგრამ ვიხილეთ ისიც, რომ მოლაპარაკებებით ეს პროცესი დაძლიეს. საეჭვოა, რომ რთულად დაიძლიოს კონსენსუსის საკითხი და ნატომ უარყოს აღნიშნული კონცეფცია, მაგრამ, დიდი ალბათობით, შემუშავდება ახალი წევრი სახელმწიფოს მიღების წინანდელზე იოლი რაიმე მექანიზმი, თუმცა იგი რთული მოსაფიქრებელია, რადგანაც კონსენსუსი საჭიროა არა მხოლოდ ახალი წევრის მისაღებად, არამედ მის დასაცავადაც. თუკი ამ კონსენსუსს ეწინააღმდეგები და არ გინდა ახალი წევრის დაცვა, მერე ძალიან რთული იქნება სამხედროები აიძულო, დაიცვან ახალი წევრი სახელმწიფო. მსგავსი პრობლემა აქვს, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ევროკავშირსაც ახალ წევრებთან მიმართებით. ძალიან საინტერესო საკითხია ეს.

- ამბობენ, რომ ნატომ თავისი არსებობის განმავლობაში სამი რამ გააკეთა: ევროპა გაერთიანა, კრემლის ამბიციები მოთოკა და ალიანსი გააფართოვა. ნატოსთვის კიდევ რა მიზანი შეიძლება იყოს მთავარი?

- ნატოს მთავარი მიზანი იყო, გამხდარიყო ფუნქციური და ძლიერი. წლების განმავლობაში ალიანსის გაფართოების საკითხი იყო დახურული ან უვადოდ გადადებული აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიხილეთ მონტენეგროს გაწევრიანება, მაგრამ ის არ არის ტერიტორია, რომელსაც რუსეთი პირდაპირ მოიაზრებს თავისი გავლენის სფეროდ, მაგრამ როდესაც დღის წესრიგში დადგება ნატოში უკრაინის გაწევრიანება, ეს არის სრულიად სხვა რეალობა. ეს ნიშნავს, რომ ახალი სიცოცხლე შთაბერეს ნატოს, ვიხილეთ ნეიტრალური ორი სახელმწიფოს (ფინეთი, შვედეთი) გაწევრიანება ნატოში, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეალობა უარყვეს, მაგრამ ამჯერად დაინახეს რეალური საფრთხე, რომელიც მომდინარეობს რუსეთიდან. ვხედავთ, რომ შვეიცარიას, რომელმაც უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა, სენტიმენტები აქვს მის მიმართ, ეს უნდა აღვნიშნოთ იმ კონტექსტში, რომ შვეიცარიას ეს არასდროს არავისთან გაუკეთებია, რაც ნიშნავს, რომ ნატომ მიმზიდველობა კვლავ დაიბრუნა.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით უკრაინას - ომის რა ფაზაა იქ?

- უკრაინაში ახლა ომის ძალიან აქტიური ფაზაა, ინიციატივა რჩება რუსეთის ხელში, თუმცა ისეთი აქტიური აღარ არის შეტევა, როგორც ეს ომის პირველ ხუთ თვეში იყო, განსაკუთრებით, თებერვლიდან ივნისამდე პერიოდში, როდესაც რუსეთმა დონეცკის ფრონტის გარდა სხვა ფრონტი გახსნა ხარკოვის ოლქის მიმართულებით, მაგრამ ვნახეთ, რომ რუსეთის შეტევა შეჩერებულია. ინიციატივა, როგორც აღვნიშნე, რუსეთის ხელში რჩება. პრაქტიკულად, რუსეთმა ვერ მოახერხა ხარკოვის ოლქში მდებარე ქალაქ ვოლჩანსკის დაკავება... მისი არმია კვლავ რჩება ბრძოლისუნარიანი, მაგრამ რუსეთს ამ ომში გარდატეხის შეტანა არ შეუძლია.

- აშშ-ის მხარდაჭერაზე დიდადაა დამოკიდებული უკრაინის ბედი. ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში რაა მოსალოდნელი უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით?

- როგორი იქნება ტრამპის ხელისუფლების პოლიტიკა, ჯერ კიდევ არაა ცნობილი იმის მიუხედავად, თუ რას ამბობს იგი. ტრამპი ყოველთვის რჩებოდა ბუნდოვან პოლიტიკოსად. რასაც ერთ დღეს ამბობს, შეიძლება მეორე დღეს სრულიად შეცვალოს, რაც მის არაპროგნოზირებადობას ცხადყოფს. შეიძლება მოვლენები კარგი შედეგით დასრულდეს იმ გაგებით, რომ ტრამპმა ზეწოლა გაზარდოს რუსეთზე და უკრაინას დაეხმაროს ან მივიღოთ სრულიად სხვა რეალობა - ის გახდეს რუსეთისადმი ლმობიერად განწყობილი ძალა. ამიტომაც არის ძალიან საშიში მისი ფენომენი, არ ვიცით, რეალურად რას იზამს, თუმცა ფურცელზე მას ღიად აქვს მოთხოვნილი მშვიდობაზე აქცენტი. ამბობს, რომ მოლაპარაკებებით დაასრულებს ამ ომს, მაგრამ პოსტ ფაქტუმ რა რეალობა დადგება, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

- როგორც ცნობილია, რუსეთი, ნატოს მსგავსად, ევროკავშირსაც მიიჩნევს საფრთხედ. რატომ?

- რუსეთისთვის ევროკავშირი არის არა მხოლოდ პოლიტიკური მეტოქე, არამედ ცივილიზაციური მეტოქეც. კრემლი ეწინააღმდეგება ევროპულ იდეას, ევროპულ იდენტობას, ამიტომაც არის ანტიევროპული ძალა. ცნობილია, რომ ევროკავშირში შესულმა სახელმწიფოებმა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას დააღწიეს თავი, ამიტომაც არ სურს რუსეთს სახელმწიფოების იქ ხილვა. ვთქვათ ისიც, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ნიშნავს ეკონომიკურად დაწინაურებას, წინსვლას, მეტ პერსპექტივას, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ რუსეთთან მიტმასვნა აღარავის მოუნდება. არ არსებობენ რუსეთის მდიდარი მეგობრები, პატარა მდიდარი მოკავშირე ქვეყნები. ყველა მისი პარტნიორი უფრო ღარიბია, ვიდრე ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფო, ამიტომაც მისთვის ევროკავშირი არის მეტოქე.

- გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ნატოს სისტემაზე უკეთესი დაცვა თუ არის მსოფლიოში?

- ამ ეტაპზე ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოებისთვის ჩვენ არ გვაქვს (სისტემური თვალსაზრისით) უკეთესი მექანიზმი, ვიდრე ნატოა. რა თქმა უნდა, ევროკავშირსაც აქვს საერთო თავდაცვითი ძალების კონცეფციის შემუშავების მცდელობა, მაგრამ რეალურად ძალიან ჭირს ამის გაკეთება, რადგან საერთო სარდლობა ნატოს ისედაც ჰყავს. ძალიან რთულია დამატებითი სარდლობის შექმნა, თუკი ევროკავშირი არ გარდაიქმნა ფედერალურ წარმონაქმნად. ამჟამად იგი არ არის ფედერაცია, ეს არის სახელმწიფო გაერთიანება, ანუ პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, მაგრამ სახელმწიფოს ხასიათი არ აქვს... ამ ეტაპზე ევროკავშირის უსაფრთხოება ძალიანაა დამოკიდებული ნატოზე და, რა თქმა უნდა, ევროკავშირის უსაფრთხოების კონცეფცია მას ვერ ჩაანაცვლებს.

- დაბოლოს, საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია და, ასევე, რეფერენდუმზეც დადასტურდა, რომ საქართველოს მიზანი ნატოში გაწევრიანებაა. როდის გაიღება ჩვენთვის ალიანსის კარი?

- ძალიან სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში ნატოზე საუბარი ბოლო წლებში სრულიად შეჩერებულია. საქართველოს მხრიდან ფოკუსი ევროკავშირისკენ უფროა მიმართული. ნატოზე საუბარი აღარც ყოფილა ბოლო წლებში და ეს ძალიან შემაშფოთებელია, რადგანაც მხოლოდ ნატოსკენ კი არ მიისწრაფვის (ეს მცდარი კონცეფციაა ზოგადად), არამედ ნატოს სტანდარტებს უახლოვდება, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ჯარი ძლიერდება და უახლოვდება იმ ნიშნულს, როგორიც შეიძლება იყოს ნატოს ჯარის ფორმირება. აი, ეს არის ძალიან საინტერესო, ჩვენთვის ამ ორგანიზაციაში შესვლა მარტო ქოლგას კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მიზნად უნდა დავისახოთ, რომ საქართველო ანგარიშგასაწევი მოთამაშე გახდეს რეგიონში და თავისი წვლილი შეიტანოს ნატოში. ალიანსში გაწევრიანების კონცეფცია ასეთია - ახალ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს რაიმე, რაც იქნება საინტერესო და სასურველი არსებული წევრებისთვის. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, შორი გზა გვაქვს გასავლელი ნატოში გაწევრიანებამდე, მაგრამ ამ მხრივ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ, რადგანაც როგორც ევროკავშირში გაწევრიანების შანსი არსებობს (მომდევნო 6 წლის განმავლობაში იგი ალბათ დაიმატებს ალბანეთს, მონტენეგროს, სერბეთს, მოლდოვას, უკრაინას, საქართველოს), ასევე, ნატოს გაფართოებაც ლოგიკურია და, შესაბამისად, საქართველოსთვის გაიხსნება შესაძლებლობის ფანჯარა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

> *„დიდი ალბათობით, შემუშავდება ახალი წევრი სახელმწიფოს მიღების წინანდელზე იოლი რაიმე მექანიზმი, თუმცა იგი რთული მოსაფიქრებელია, რადგანაც კონსენსუსი საჭიროა არა მხოლოდ ახალი წევრის მისაღებად, არამედ მის დასაცავადაც. თუკი ამ კონსენსუსს ეწინააღმდეგები და არ გინდა ახალი წევრის დაცვა, მერე ძალიან რთული იქნება სამხედროები აიძულო, დაიცვან ახალი წევრი სახელმწიფო*

რეფორმის კვალდაკვალ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტში 43 საჯარო და ერთი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაა, მათგან 30 საშუალო საფეხურისაა. ბოლო მონაცემებით, სკოლებში 715 პედაგოგი მუშაობს, სულ 1052 ადამიანია დასაქმებული. წინა საუკუნის დასასრულს მოსწავლეთა კონტინგენტი 4 ათასს აჭარბებდა, რაც მნიშვნელოვნად შემცირებულია და 1341 მოსწავლემდეა დასული

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, შუახევის რესურსცენტრის ხელმძღვანელობის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად დაძლეულია სკოლებში მასწავლებელთა კადრების დეფიციტი. იყო წლები, როცა ინგლისურ ენას უცხოეთიდან მოვლინებული მასწავლებლები ასწავლიდნენ 10-მდე სკოლაში. ახლა ისინი ადგილობრივმა და ქვეყნის სხვა რეგიონებიდან მოვლინებულმა მასწავლებლებმა ჩაანაცვლეს. კადრების დეფიციტი ივსება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით „ასწავლე საქართველოსთვის“ და „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“. დასახელებული პროგრამების ფარგლებში, 8 მასწავლებელია დასაქმებული, ზოგიერთ მათგანს მეორე სკოლაში მუშაობაც აქვს შეთავსებული, შესაბამისად, 15-ამდე ვაკანსია შეივსო.

რესურსცენტრი ხელს უწყობს ახალი კადრების მოზიდვას. გასულ წელს ათზე მეტი მასწავლებელი შეემატა მუნიციპალიტეტს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი აკისრია ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც ყოველწლიურად ათეულობით კადრს ულოცავს გზას...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინვენტარით სკოლების აღჭურვა. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტით აიგო სოფლებში: მაწყვალთა, ფურტიო, ასევე, დაბა შუახევში, ჟანივრში. შეკეთდა შუბნის, გოგინაურის, ცინარეთის, ხიჭაურის, ბარათაულის, ხაბელაშვილების, უჩამბის საჯარო სკოლების შენობები. ღია სპორტული მოედნები გაკეთდა ნაღვარევის, ინწკირვეთის, ხიჭაურის, უჩამბის, ფურტიოს, ნენიის, ვანის, გომარდულის, ჩანჩხალოს სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე. დახურული სპორტული დარბაზები მოეწყო ფურტიოს, ცინარეთის, ოლადაურის, დაბა შუახევის, ხიჭაურის სკოლებთან. სკოლებში ეტაპობრივად შეაქვთ უახლესი ინვენტარი. მაგალითად, დაბა შუახევის საჯარო სკოლის ყველა კლასი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით. სკოლას გადაეცა თანამედროვე ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი და სხვა. თანამედროვე ინვენტარითა და თვალსაჩინოებით თანდათან ყველა სკოლა აღიჭურვება.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წელს პირველად განახორციელა პროგრამა „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“, რომლითაც შუახევიდან 5 მასწავლებელი დაფინანსდა და 5 თვის განმავლობაში ხელფასზე 500-ლარიანი დანამატი მიიღო. პროგრამა გაგრძელდება ახალ სასწავლო წელსაც.

შუახევის რესურსცენტრი, სამინისტროების მიზნობრივი პროგრამების გარდა, დამატებით ახორციელებს საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამებს, რომელიც გამომდინარეობს ადგილობრივი საჭიროებებიდან და გამოწვევებს პასუხობს.

ბოლო ათწლეულში რესურსცენტრის საქმიანობა ბევრ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, ტექნიკურ-მატერიალური რესურსებით სკოლების აღჭურვის ხელშეწყობას, მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფას, უსაფრთხო გარემოს შექმნას, სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვას, იურიდიული, ფინანსური, მეთოდური და პროფესიული კონსულტაციების მიწოდებას... მათგან უაღრესად მნიშვნელოვანია სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, რომელიც სამი ძირითადი მიმართულებით განისაზღვრება: მოსწავლეთა მხარდაჭერა და სწავლების ხარისხის ამაღლება სკოლებში; მასწავლებელთა პროფესიის წახალისება, მხარდაჭერა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ქვეყნის მასშტაბით შუახევი პირველი იყო, სადაც წამოიწყეს მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენციები. მისი მიზანია პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პრაქტიკაში; მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წევრებისა და კლასის დამრიგებლების პროფესიული, პედაგოგიურ-პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სკოლის და კლასის მართვის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ადმინისტრაციის და კლასის დამრიგებლების პროფესიული განვითარება. წელს ჩატარდა მეექვსე მუნიციპალური კონფერენცია, რომელზეც 64 მოხსენება იყო წარმოდგენილი და საგნობრივი მიმართულებების მიხედვით ექვსი სექცია მუშაობდა. მომხსენებლების გარდა, მას 100-მდე მასწავლებელი ესწრებოდა გამოცდილების გაზიარების მიზნით. კონფერენციას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი დაესწრო და მაღალი შეფასება მისცა. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ აჭარის განათლების ფონდის დირექტორი სულიკო თებიძე და რაიონის ხელმძღვანელი პირები. წარმოდგენილ თემებს აფასებდნენ და მოდერატორობას უწევდნენ განათლების ფონდის ტრენერი მასწავლებლები.

> ***„შუახეველი მასწავლებლების საქმიანობა ისეთ მცირეკონტინგენტიან სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 30-ზე ნაკლებია, მაინც თვალსაჩინოა. შარშან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების 82,5 პროცენტზე მეტი სტუდენტი გახდა. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული 93 სტუდენტიდან 3-მა 100-პროცენტიანი, 7-მა 50-პროცენტიანი გრანტი მოიპოვა, ხოლო სოціალური დაფინანსების ფარგლებში - 18-მა სტუდენტმა***

სკოლების დირექტორები, რესურსცენტრის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო კლუბების საქმიანობას. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მუნიციპალურმა კლუბებმა. შუახევის რესურსცენტრის უფროსის ედუარდ გოგრაჭაძის ინიციატივით და ორგანიზებით, შუახევის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის და ინგლისური ენის მოყვარულთა კლუბები. ახალდაბის, დაბა შუახევის და დაბაძველის საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მალვინა ზოიძის, მზია გოგაძის და ჯეირან ზაქარაძის ხელშეწყობით მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბები. მათი მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება; მხატვრული ლიტერატურით მოსწავლეთა დაინტერესება; ლიტერატურის ისტორიის და განვითარების გაცნობა; სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობისა და ფილოსოფიური აზროვნების გაცნობა; სამწერლო კულტურის და სამწერლო ენის განვითარება; ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაცნობიერება; განსხვავებულობის მიმღებლობა; ზეპირი მეტყველების, სამეტყველო ქცევების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ლიტერატურული ხერხების გაცნობა, გამოყენება; ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარება; დებატებში მონაწილეობა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება; ქართული და უცხოური ლიტერატურის შედარება და ისტორიული ეპოქის განცდა. კლუბების მუშაობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სკოლები მცირეკონტინგენტიანია და უმრავლეს შემთხვევაში, კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, რის გამოც სხვადასხვა სახის აქტივობა, მაგალითად, ჯგუფებში მუშაობა ვერ ხერხდება. რაიონულ კლუბებში კი ათეულობით მოსწავლეა გაერთიანებული სხვადასხვა სკოლიდან და აქვთ შესაძლებლობა, ეს დანაკლისიც შეივსონ. კლუბები ორ ასაკობრივ კატეგორიაში ფუნქციონირებს საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ინგლისური ენის კლუბს ხელმძღვანელობენ ხაბელაშვილების, ახალდაბის და დაბა შუახევის სკოლების მასწავლებლები ნანა ვასაძე-ჯანელიძე, ხათუნა ფარტენაძე და ცირა სოლომონიძე. მათი საქმიანობა ასე განისაზღვრა: ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება, დახვეწა; ენობრივი ბარიერისა და კომპლექსების მოხსნა; ინგლისურ ენაზე წარმოთქმის და მოსმენის უნარის გაუმჯობესება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება; მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება; ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის გაცნობა; ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაცნობიერება; ზეპირი მეტყველების, სამეტყველო ქცევების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარება; დებატებში მონაწილეობა და არგუმენტირებული მსჯელობის გამომუშავება.

კლუბების შეხვედრები იმართება თვეში ერთხელ. როგორც რესურსცენტრში გვითხრეს, კლუბების მუშაობამ თავისი შედეგები გამოიღო, რაც აისახა კონკურსებში, ოლიმპიადებსა და ეროვნულ გამოცდებზე მიღწეულ შედეგებში.

2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს კლუბების საქმიანობის შემაჯამებელი წარდგინება გაიმართა, რომელსაც შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. კლუბების წევრ 120-მდე მოსწავლეს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცა.

მოსწავლეთა მხარდაჭერას, წიგნიერების დონის ამაღლებას, ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენა-წახალისებას, მოტივაციის გაზრდას, გამოცდილების შეძენას ემსახურება მუნიციპალური საგნობრივი კონკურსები. ისტორიაში, გეოგრაფიაში, სამოქალაქო განათლებაში, მათემატიკაში და ბიოლოგიაში ჩატარებულ კონკურსებში 793 მოსწავლე მონაწილეობდა. გამოვლინდა 28 გამარჯვებული, რომლებიც სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მათ მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელებს მადლობის ბარათები გადაეცათ.

როგორც შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ გვითხრა, ყოველი ღონისძიების უკან დონორი ორგანიზაციები და ცალკეული პიროვნებები დგანან. გამორჩეული მნიშვნელობა მიენიჭა მერიის, სპმთპ-ის რაიონული საბჭოს, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“, „ლიბერთი ბანკისა“ და კერძო პირების, მეცენატების დამსახურებას. მათ შორის დასახელდნენ წარმატებული შუახეველი მეცენატები ედუარდ, ზურაბ ფუტკარაძეები, რამინ დავითაძე, ლევან მჟავანაძე.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ ხაბელაშვილების, წყაროთისა და დაბა შუახევის სკოლებს 5000-5000 ლარის ფარგლებში დაუფინანსა საგრანტო პროექტები.

რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, სპმთპ-ის რაიონული საბჭო საზეიმო გაცილებას უწყობენ ამაგდარ პედაგოგებს.

სოფლების დაცლა-დაცარიელების ფონზე, შუახევის მუნიციპალიტეტის 43 სოფელსა და 20-მდე დასახლებულ უბანში სკოლა და მასწავლებელი სოფლის მაცოცხლებელ ძალად გვევლინება. სხვებთან ერთად მათაც მეტი უნდა იზრუნონ სოფლების დაცარიელებისგან გადასარჩენად.

ზოგიერთი მთის სოფლებში სკოლების ოპტიმიზაციის მომხრე იყო. სკოლებსა და ბაგა-ბაღებში მომუშავე პედაგოგები და პერსონალი რომ არა, ამჟამად მოქმედი სოფლებიდან ნახევარი აღარ დარჩებოდა.

შუახეველი მასწავლებლების საქმიანობა ისეთ მცირეკონტინგენტიან სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 30-ზე ნაკლებია, მაინც თვალსაჩინოა. შარშან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების 82,5 პროცენტზე მეტი სტუდენტი გახდა. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული 93 სტუდენტიდან 3-მა 100-პროცენტიანი, 7-მა 50-პროცენტიანი გრანტი მოიპოვა, ხოლო სოціალური დაფინანსების ფარგლებში - 18-მა სტუდენტმა. ბევრიც წარჩინებული სტუდენტია და სწავლის საფასურის გადასახადისაგან გათავისუფლებულია. მოსწავლეებს მშობლიურ სოფელში ნორმალური საგანმანათლებლო პირობები რომ არ ჰქონოდათ, ასეთი მაღალი მაჩვენებლებიც არ იქნებოდა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს უკეთეს შედეგს ელოდებიან.

წარმატებული წელი ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას. წელს ეროვნული ოლიმპიადის ფინალში ამ სკოლის 4 მოსწავლე გავიდა (საგანი - ისტორია, მასწავლებელი - მელანო ზოიძე), სკოლას ამავე საგანში შარშან ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეც ჰყავდა.

ეწყობა მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი ბანაკები. ახლახან დაბრუნდნენ აქაური მოსწავლეები ახალქალაქის სამხედრო ბანაკიდან, სადაც ერთკვირიანი პროგრამა 18-მა მოსწავლემ გაიარა. 8 ივლისს მოსწავლეთა 8-დღიან სასწავლო ბანაკში, კურორტ გოდერძიზე გაემგზავრა 21 შუახეველი მოსწავლე. ეს ბანაკი ემსახურება STEM-ის განათლების გაძლიერებას.

აქვე შეიძლება დავამატოთ მასწავლებელთა მხარდაჭერის უპრეცედენტო ფაქტი ხელფასების მატების თვალსაზრისით, 2 მილიონამდე ლარი დამატებით შემოვა შუახევის მუნიციპალიტეტში ხელფასების სახით. გაზრდილ ანაზღაურებას მასწავლებლები საშვებულებო პერიოდშიც მიიღებენ.

სიცოცხლე თუ ნარკოტიკი - არჩევანის გაკეთება ადვილია

მარიხუანა - პირველი საფეხური ნარკომანიისკენ

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მარიხუანა (ე. წ. პლანი) ერთ-ერთია იმ ნარკოტიკულ ნივთიერებათაგან, რომლებსაც ყველაზე ხშირად მოიხმარენ. მას კანაფიდან ამზადებენ

ვიკიპედიის თანახმად, კანაფის მთავარი ფსიქოაქტიური ნაწილია ტეტრაჰიდროკანაბინოლი (ტჰკ), მცენარეში ჩვენთვის ცნობილი 483 კომპონენტიდან ერთ-ერთი, მათ შორისაა, მინიმუმ, 65 სხვა კანაბინოიდი - ის ელემენტები, რაც ეიფორიას/ნარკოტიკულ თრობას იწვევს.

როგორც ამბობენ, მარიხუანა გუნება-განწყობაზე მოქმედი ნივთიერებაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის თითქმის ყველა ორგანოზე და სხეულში დამატებით ჰორმონებს გამოყოფს. მას, ძირითადად, ახალგაზრდების ნაწილი ყოველდღიურად მოიხმარს და შეიძლება ითქვას, რომ მარიხუანის - „ტარიანის“ გარეშე მათი ცხოვრება წარმოუდგენელიც ხდება.

უმეტესად, მარიხუანას მოსაწევის სახით მოიხმარენ, ასევე, მისი ნახარშის ორთქლს შეისუნთქავენ, ხარშავენ და დასალევად ამზადებენ ჩაის მაგვარ ნაყენს და სხვა.

მარიხუანას ტვინი ძალიან სწრაფად ითვისებს. მოწევისას მასში შემავალი ნივთიერებები სისხლში შეიწოვება და რამდენიმე წუთში ტვინამდე აღწევს. შედეგი ასეთია: მომხმარებელი კარგ ხასიათზე დგება, ავიწყდება რეალობა, იცინის, მუზა მოსდის, დაძაბულობა ეხსნება.

ერთ-ერთმა მომხმარებელმა (ასეთი რესპონდენტების ვინაობა კონფიდენციალურია) გვითხრა, რომ მარიხუანის მოწევის შემდეგ გონება ეხსნება, უკეთ აზროვნებს.



- მარიხუანას მოწევა 10 წლის წინ დავიწყე და ყოველდღიურად მოვიხმარ. ვცდილობ, დოზირებულად მოვწიო, რადგან ბევრი ყველაფერი საზიანოა. მოწევა იმიტომ დავიწყე, რომ კარგ ხასიათზე მაყენებს. ერთ დღესაც რაღაც ისეთის გაკეთება მომინდა, რითაც შემოსავალს მივიღებდი და მოწევის შემდეგ ბიზნესიდეაც გამიჩნდა. რა იდეაა, ამაზე აქ არ ვისაუბრებ, - მითხრა რესპონდენტმა.

კვლევების თანახმად, მარიხუანას კარგზე ბევრად მეტი ცუდი შედეგი მოაქვს, რასაც ადამიანი ხანდახან სუიციდამდეც მიჰყავს.

- ჩვენ ყოველდღე ერთად ვეწეოდით, დღეში რამდენჯერმეც. ერთ-ერთი მოწევის დროს ის უეცრად წამოდგა, ოთახში შევიდა და... იარაღის გასროლის ხმა გავიგონე. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ ჩემი ფსიქიკა განადგურდა, ფსიქოტროპულ წამლებს ვსვამ და მდგომარეობიდან დღემდე ვერ გამოვსულვა, - გვითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

შემდეგი რესპონდენტის თქმით, მან მეგობარს ოთახში მაშინ შეუსწრო, როდესაც იარაღის ლულა პირთან ჰქონდა მიტანილი. მისი თქმით, მეგობარს ცხოვრება აღარ უნდა, ყველაფერს ნაცრისფრად ხედავს. ასევე, ჰორმონები ისე აქვს მოშლილი, რომ მისთვის ყოველი დღით სიხარული აღარ არსებობს.

კიდევ ერთი რესპონდენტის თქმით, მარიხუანას მოხმარებით გამოწვეული სავალალო ბევრი ფაქტია საახლობლოში, მაგალითად, „მოწეულში“ მყოფმა შვილმა მამა მოკლა, სხვამ - სახლი დაწვა და სხვა.

არის „ჩარჩენის“ შემთხვევები, რაც ნიშნავს, რომ მარიხუანას მოწევის შემდეგ მომხმარებლები მდგომარეობიდან ვეღარ გამოდიან. მათ მუდმივად რჩებათ ის თვისებები, რაც მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანს ახასიათებს.

მინდა გაგაცნოთ ჩვენი რესპონდენტი ბაჩი, ის მარიხუანას წლების განმავლობაში მოიხმარდა, რამაც მძიმე შედეგებამდე მიიყვანა.

- 28 წელი ვეწეოდი მარიხუანას. ვერც ფსიქიატრიულმა კლინიკამ, ვერც ანტიდეპრესანტებმა მიშველა, მქონდა სუიციდის სამი მცდელობა. დილა ეგრეთ წოდებული ბულბულატორით (მარიხუანას მოსაწევი საშუალება) იწყებოდა. ბიჭები მარიხუანას ძირებს ვზრდიდით და ვეწეოდით. ეს იყო ჩვენი ერთადერთი საქმე და საბოლოოდ, ყველა ჩვენგანი ფსიქიატრიულში აღმოჩნდა. მარიხუანამ მეხსიერება გამინადგურა. ჩამომაშორა ყველაზე ძვირფასს, ჩემს შვილებსა და ოჯახს, რადგან დამეწყო შიზოფრენია, ვიყავი გაღიზიანებული, აგრესიული და ჩემთან საუბარს ვერავინ ბედავდა, მესმოდა ხმებიც. ამ გადმოსახედიდან ვხვდები, რომ ოჯახის დანგრევა, 100 პროცენტით, ჩემი ბრალია, რადგან მოსაწევის გარდა არავინ და აღარაფერი მაინტერესებდა. შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთი „ჩაყრა“ მარიხუანას გამო თბილისიდან ზუგდიდში მივდიოდი. მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკია, უბრალოდ, სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ მას ვენაში არ იკეთებ. ყველა შემთხვევაში შედეგი ერთია - ნევროზი, დეპრესია და ცხოვრების დანგრევა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად გზას ვეძებდი, თუმცა არაფერი მშველოდა. საბოლოოდ, მივაგენი ასეთ გამოსავალს - მიკროდოზირებას, რომელიც სამკურნალო დანიშნულებისაა და მისი წყალობით სულ რაღაც 8 თვეა, მოსაწევს ნელ-ნელა თავს ვანებებ. ამ მეთოდის დაწყების დღიდანვე ვიგრძენი შვება. მეხსიერება გამიუმჯობესდა, დილით გაღვიძება მიხარია, ჩემს შვილებთან ურთიერთობა დავალაგე, ეს ყველაფერი მთელი ცხოვრება მაკლდა. დღეს ამაყი ვარ, რომ ამაზე ღიად გესაუბრებით. მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ მარიხუანა მხოლოდ გასართობია და ჯანმრთელობის განადგურებასთან კავშირი არ აქვს. მეგობრებო, მენდეთ, თქვენ ჩემსავით ინადგურებთ ცხოვრებას და ვინც გეუბნებათ, რომ მარიხუანა არ გვნებთ, იცოდეთ, ის თქვენი მტერია.

> ***„ჩვენთან მოსულ მომხმარებლებს ხშირად ჰქონიათ აფექტური მდგომარეობებიც, სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები, აგრესია და სუიციდის მცდელობებიც კი. გვქონია შემთხვევა, როდესაც პაციენტი გამორთული მობილურით ესაუბრებოდა საზღვარგარეთ მყოფ ბიძაშვილს. არის შემთხვევები, როდესაც გაუჩერებლად საუბრობენ, აქვთ აკვიატებული აზრები. ზოგჯერ ცდილობენ, განერიდონ გარემოს, რადგან ეჩვენებათ, რომ მათ ვიღაც უთვალთვალებთ, ვიღაც მოსდევთ, უსმენენ, წამლავენ...***

არსებობს მოსაზრება, რომ მარიხუანას მოხმარება იწვევს უფრო მძიმე ნარკოტიკების მოთხოვნილებასაც, ამიტომ ბაჩის აზრი ამ თემაზეც მოვისმინეთ.

- მარიხუანას მომხმარებლები ვართ არაჯანსაღი ფსიქიკის პატრონები. ჯერ იწყებ მოსაწევით, მოსაწევი რომ გაგთიშავს და გონებას აგირევს, ეს გსიამოვნებს. შემდეგ უკვე აღარ გყოფნის იმ მდგომარეობაში ყოფნა, მარიხუანას მოწევისას რომ ხარ და უფრო ძლიერი ნარკოტიკის მოთხოვნილება გიჩნდება. მოსაწევი არის პირველი საფეხური ნარკომანიის დაღმავალ კიბეზე და ძალიან ბევრი ადამიანი ამის შემდეგ „ნამდვილი“ ნარკომანი ხდება. სამწუხაროდ, ჩემს სამეგობროშიც ყოფილა მსგავსი ფაქტები.

მარიხუანას ბევრი მომხმარებელი ფიქრობს, რომ მისი მოწევა დამოკიდებულებას არ იწვევს, მაგრამ რეალობა სხვას გვიჩვენებს.

დამოკიდებულება არის, როდესაც ადამიანს არ შეუძლია, უარი თქვას ნარკოტიკის მიღებაზე, მაშინაც კი, თუ ჯანმრთელობისა და სოციალურ პრობლემებს უქმნის. მომხმარებელმა მარიხუანა თუ არ მიიღო, ღიზიანდება, ეცვლება განწყობა, ძილი ერღვევა და სხვა.

კვლევები მოწმობს, რომ მარიხუანაზე დამოკიდებულება მისი მომხმარებლების დაახლოებით 10-30 პროცენტს უვითარდება. ამ ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია, როცა მის მოხმარებას მოზარდ ასაკში იწყებენ.

ძალიან საინტერესოა იმ ადამიანების აზრი, რომლებსაც თავად აქვთ შეხება მარიხუანას მომხმარებლებთან. გავესაუბრეთ ნარკოლოგიურ კლინიკა „ნიშატის“ დირექტორ ზაზა ჩიქოვანს.

- მე „მარიხუანის“ ნაცვლად გამოვიყენებ სიტყვა კანაფს, იგივე კანაბისს, რადგან ნარკოტიკული ნივთიერებების კრებითი სახელია. კანაბისი არის კარიბჭე ნარკოტიკების სამყაროში. მარიხუანა და კანაბისის ჯგუფის სხვა პრეპარატები ტვინის შესაბამის რეცეპტორებს აღიზიანებს, რაც სხვადასხვა შეგრძნებას იწვევს. ისინი შეიცავენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ღვიძლის ფერმენტებზე, იწვევს ცნობიერების დარღვევას, ჰალუცინაციებს, მეხსიერებისა და აზროვნების დაკარგვას. ამჟამად, მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა ჰიბრიდული ჯიშებისგან წარმოებული კანაბინოიდები, რომლებიც სელექციური ჯიშითაა გამოყვანილი და მაღალი კონცენტრაციით შეიცავენ მოქმედ ნივთიერებას დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლს (THC). განსაკუთრებით საშიშია კანაბისის მოხმარების არატრადიციული გზები, როდესაც მას ეწევიან „ბულბულატორით“. ამ დროს მარიხუანაში შემავალი ნივთიერებები ორგანიზმში უფრო მაღალი კონცენტრაციით ხვდება და, შესაბამისად, მავნე შედეგებიც ბევრად აღემატება ჩვეულებრივი გზით კანაფის მიღების ეფექტებს. სამწუხაროდ, ამ გზას მიმართავენ მოზარდები და ახალგაზრდა მომხმარებლები. კანაბისის მოხმარებისას სპეციფიკურად ირღვევა მეხსიერება. შესუსტებულია მოკლევადიანი მეხსიერების ფორმირების, ახლად მიღებული ინფორმაციის დამუშავების უნარი. დამახსოვრების გართულების გამო ქვეითდება კონცენტრაციის უნარიც. კლებულობს მასალის ათვისების პროდუქტიულობა, აღქმის, გააზრებისა და ანალიტიკური უნარები. მოგვმართავენ როგორც მშობლები, ასევე თავად ახალგაზრდა მომხმარებლებიც და აღნიშნავენ, რომ მარიხუანას მოხმარების შემდეგ მათ გაუჭირდათ სწავლა. სხვა შემთხვევებში გვხვდება ფსიქოზების განვითარება (ფსიქიკის მოშლა). აქვთ შფოთვები, შიშები, უძილობა, საუბრობენ ბევრს ან ჩაკეტილები არიან, არავისთან სურთ კომუნიკაცია, ეს ყველაფერი კი მიდის ღრმა დეპრესიამდე. ჩვენთან მოსულ მომხმარებლებს ხშირად ჰქონიათ აფექტური მდგომარეობებიც, სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები, აგრესია და სუიციდის მცდელობებიც კი. გვქონია შემთხვევა, როდესაც პაციენტი გამორთული მობილურით ესაუბრებოდა საზღვარგარეთ მყოფ ბიძაშვილს. არის შემთხვევები, როდესაც გაუჩერებლად საუბრობენ, აქვთ აკვიატებული აზრები. ზოგჯერ ცდილობენ, განერიდონ გარემოს, რადგან ეჩვენებათ, რომ მათ ვიღაც უთვალთვალებთ, ვიღაც მოსდევთ, უსმენენ, წამლავენ... ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაუტოვებიათ მშობლები, ოჯახი და 10-20 კილომეტრის გავლის შემდეგ აღმოუჩენიათ, რომ არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ, ეს ყველაფერი კი ხდება ფსიქიკის შეცვლის გამო, რასაც იწვევს მარიხუანა. ჩვენი რჩევაა - ახალგაზრდებო, არ გასინჯოთ ნარკოტიკი. იყავით ფხიზლად, შეხედეთ ცხოვრებას საღი გონებით, - გვითხრა ზაზა ჩიქოვანმა.

როგორც ნარკოლოგები და თავად მწევლები ამბობენ, მარიხუანას მოხმარების გაზრდას ხელი შეუწყო ამ ნივთიერების დეკრიმინალიზაციამ. 2017 წლის 30 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სისხლის სამართლებრივი დევნა მარიხუანის მოხმარებისთვის. სისხლის სამართლის სასჯელის გაუქმება მარიხუანას ლეგალიზებას არ ნიშნავს. ამ ნივთიერების მოწევა ისევ უკანონოდ მიიჩნევა, თუმცა ის მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს - 500 ლარის ოდენობის ჯარიმას გულისხმობს. მომხმარებელს შეუძლია პირადი მოხმარებისთვის ჰქონდეს 5 გრამამდე გამხმარი მარიხუანა და 10 გრამამდე - ნედლი.

ამის მიუხედავად, მარიხუნას ე. წ. ბარიგები დღისით-მზისით, სოციალური ქსელებითაც კი ავრცელებენ ამ ნივთიერებას, მარიხუანას გამსაღებელ ჯგუფებში იგი ღიად იყიდება და ღიად ჩნდებიან მყიდველებიც. შეიძლება ითქვას, რომ „ფეისბუქში“ მარიხუანას გაყიდვის ბუმია. ჯგუფებში მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, იმას თუ მარიხუანას მოწევით როგორ შეიძლება მიაღწიო უმაღლეს „კაიფს“, ერთმანეთს აჩვენებენ მარიხუანის ძირებს და მისი მოვლა-მოყვანის რჩევებსაც აძლევენ. მსგავსი ჯგუფების აღმოჩენის შემდეგ ახალგაზრდები ინტერესდებიან მარიხუანას მოწევით. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვითხრა, რომ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ჯგუფი, სადაც მარიხუანას მოწევასთან დაკავშირებით გასცემდნენ რჩევებს და ისიც დაინტერესდა მოწევით, შემდეგ კი მარიხუანას აქტიური მომხმარებელიც გახდა.

თუ შევაჯამებთ, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარიხუანას სიამოვნების მოგვრასთან ერთად, შეუძლია ავნოს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ადამიანებს აქვთ ორი გზა - შორს დაიჭირონ ამ ნარკოტიკისგან თავი, ანუ არ შესწირონ მას ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ან მიიღონ მაქსიმალური სიამოვნება და გაერთონ, სანამ სავალალოდ არ დაამთავრებენ სიცოცხლეს. ვფიქრობ, არჩევანის გაკეთება ძალიან მარტივია.

ასე იწყებოდა ხულოში სპორტის აღორძინება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო სტიპენდიატს, ღირსების ორდენოსანს, „საპატიო ხულოელ“ ***როსტომ აბულაძეს,*** *მისი თაობის სპორტსმენებთან ერთად, თავისი წვლილი აქვს შეტანილი ხულოს რაიონში სპორტის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებაში. ბატონი როსტომი მალე 90 წელს უკან მოიტოვებს, თუმცა ისევ მხნედაა და ამ სფეროს განვითარებაზე საკუთარ მოსაზრებებსაც გვთავაზობს.*

- ხულოს რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას წინა საუკუნის 40-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ჩემი თაობის ბავშვები მხოლოდ ფრენბურთსა და სათხილამურო სპორტს ვიცნობდით. ვთამაშობდით „კოჟოს“. სპეციალურად ამოთხრილ ორმოში ხის ჩოგნებით ვაგდებდით პატარა, კვადრატის ფორმის ხის საგანს. რომელი გუნდიც საგნის მეტჯერ ჩაგდებას მოახერხებდა კვადრატულ ორმოში, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

- ეს თამაში მომდევნო წლებში რით ჩაანაცვლეთ?

- მოგითხრობთ, როგორ დავიწყეთ ფეხბურთის თამაში და, საერთოდ, როგორ დამკვიდრდა სპორტის ეს სახეობა ხულოში: მე და ჩემმა მეგობრებმა, მე-3 კლასი რომ დავასრულეთ, ჩვენი კლასელი ავთანდილ რიჟვაძე საზაფხულო არდადეგებზე გურიაში წავიდა (დედა გურული ჰყავდა). უკან რომ ჩამოვიდა, თქვა, გურიაში ძალიან საინტერესო თამაში ვნახეთ და აღწერა: მოედნის აქეთ-იქით კარებია, ორი მხარის გუნდი იბრძვის საპირისპირო გუნდის კარში ბურთის გატანისთვისო. დავტრიალდით მეგობრები, ძველი ნაჭრები თამბაქოს ასანმსი ძაფით მრგვალად შევკარით და ბურთის ფორმა მივეცით. კარების ნაცვლად აქეთ-იქით ორ-ორი ქვა დავალაგეთ, ბავშვები გავიყავით ორ გუნდად და დავიწყეთ თამაში. ფეხბურთის თამაშს თანდათან სისტემატური ხასიათი მიეცა და რაიონშიც დაინერგა.

- კარგი ისტორია გაიხსენეთ. სპორტის სხვა სახეობების დანერგვასთან დაკავშირებით რა გახსენდებათ?

- გავიდა რამდენიმე წელი და ხულოს საშუალო სკოლის მეცხრეკლასელებს ფიზკულტურის მასწავლებლად აკაკი მუნჩავა მოგვევლინა. მან გაცნობისთანავე შემოგვთავაზა ძალიან საინტერესო თამაში, რისთვისაც გვჭირდებოდა სწორზედაპირიანი მოედანი და ხის მასალა. ფრენბურთის მოედანი ვარგისი აღმოჩნდა ჩვენთვის უცნობი თამაშისათვის. ხის მასალის მოსატანად მასწავლებელმა ტყეში წაგვიყვანა. მოვიტანეთ 4 ცალი ხის მაღალი ბოძი და დავდგით. მივამაგრეთ ფარები, ფარებზე ბადიანი კალათები ჩამოვკიდეთ. ყველაფერი მზად გვქონდა, მაგრამ არ ვიცოდით, რა ერქვა ამ თამაშს. აკაკი მასწავლებელმა მოიტანა უკვე ნამდვილი ბურთი და ჯერ ადგილიდან ტყორცნა გვასწავლა, შემდეგ ორი ნაბიჯის გადადგმით გამორბენი და მესამე ნაბიჯზე ტყორცნა. ცოტა რომ „დაგვახელოვნა“, თამაშის სახელიც გაგვიმხილა - კალათბურთი ჰქვიაო, ასე რომ, ხულოს რაიონში კალათბურთიც ჩემი თაობიდან დაიწყო. მაშინ ყოველი წლის ზამთარში ტარდებოდა ჯერ რაიონული, შემდეგ აჭარის პირველობები სათხილამურო სპორტში (რბოლებში). ამ დროს საკმაოდ წარმატებული მოთხილამურე ვიყავი ხუთ კილომეტრზე რბოლაში. რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე პავლე მორჩილაძე ხშირად გვხვდებოდა სპორტსმენებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას ბატონმა პავლემ გვითხრა: აჭარის სპორტკომიტეტის დავალებით, ხულოს რაიონიდან მოჭიდავეები უნდა გავიყვანოთ აჭარის პირველობაზე, რამდენიმე უკვე შევარჩიეთ, 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი როსტომ აბულაძე იჭიდავებსო. სამწუხაროდ, ჩემი წონა 70 კილოგრამი აღმოვჩნდი. ჭიდაობა მკაცრი წესებით ტარდებოდა, სამ კილოგრამს კი არა, 100 გრამსაც არ პატიობდნენ, ამიტომ იძულებული გავხდი, 2 დღეში 3 კილოგრამი დამეკლო. ასე რომ, 50-იან წლებში ხულოს რაიონმა აჭარის პირველობაზე წარადგინა გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ზია ხოშორაძე - სამამულო ომის მონაწილე, ადამ შანთაძე - მძღოლი, შამილ თავართქილაძე - მზარეული, მე, როსტომ აბულაძე - IX კლასის მოსწავლე. არცერთმა არ ვიცოდით, ჭიდაობა ლეიბზე თუ ტარდებოდა, არც ის, საჭიდაო ლეიბი თუ არსებობდა. გვეგონა, სადმე სილიან ადგილს შეარჩევდნენ და იქ გვაჭიდავებდნენ. შეჯიბრება ცირკის შენობაში ჩატარდა. მაშინ ჭიდაობა 15-წუთიანი იყო, ერთი შესვენებით. აჭარის მრავალგზის ჩემპიონს შევხვდი, ერთი ქულით წავაგე, თუმცა ამ შეჯიბრებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში - მეტი ინტერესი და სპორტული ჟინი გამიჩნდა.

- რა გზა გამოიარეთ სპორტთან ზიარების შემდეგ?

- საშუალო სკოლის შემდეგ სწავლა თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში გავაგრძელე. დამთავრებისთანავე დავბრუნდი მშობლიურ რაიონში. ორი წელი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად ვიმუშავე, შემდეგ რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ თავმჯდომარედ ამირჩიეს, ერთი წლის შემდეგ - რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც მომდევნო 22 წელი ვიმუშავე. ამ პერიოდში აჭარის სპორტული დელეგაცია საქართველოს სპარტაკიადაზე მეოთხე ადგილზე გავიდა, მანამდე მესამე საპრიზო ადგილს იკავებდა. სპორტული საქმიანობის ნაკლოვანებებზე საოლქო კომიტეტის ბიუროომ იმსჯელა. ბიუროზე მოწვეული იყვნენ აჭარის სხვადასხვა სპორტული ნაკრები გუნდის მწვრთნელები და რაიონის სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები. გადაწყვეტილი მქონდა ბიუროზე სიტყვით გამოსვლა. ჩემდა საბედნიეროდ, თვითონ ბიუროს ხელმძღვანელმა დამისვა კითხვა: ხულოს რაიონმა სპორტის რა სახეობებში რამდენი სპორტსმენი მისცა აჭარის ნაკრებსო. ვუპასუხე: ბაკურიანში გასაგზავნი ნაკრები გუნდი სათხილამურო სპორტში ყოველთვის ხულოს რაიონისა და ხიჭაურის სამხედრო ნაწილის სპორტსმენებით კომპლექტდება, სპორტის სხვა სახეობებში აჭარის ნაკრებ გუნდებში არცერთი სპორტსმენი არ გვყავს და ვერც გვეყოლება-მეთქი. აღვნიშნე, რომ ხულოს რაიონში ხანგრძლივი ზამთარია, შემდეგ საკმაოდ წვიმიანი ამინდები იწყება, ღია ცის ქვეშ კი ვერ შევძლებთ იმ დონის სპორტსმენების მომზადებას, რომ აჭარის ნაკრებში მოხვდნენ. ერთი სპორტული დარბაზიც კი არ გვაქვს და... ბიუროს მდივანს უთხრეს, ჩაწერე ოქმში, რომ ხულოს რაიონში უახლოეს დროში უნდა აშენდეს სპორტული დარბაზიო. ასე დაიწყო რაიონში სპორტული დარბაზის მშენებლობა, რაც წლების განმავლობაში გაგვიგრძელდა. საძირკველი გაითხარა, შენობა ფანჯრებამდე აშენდა და გაჩერდა - ხან სამშენებლო მასალები გამოიყო ხარჯების გარეშე, ხან თანხები - სამშენებლო მასალების გარეშე. მშენებლობის დასრულებისთანავე სპორტული სკოლის გახსნასაც დაგვპირდნენ, რისთვისაც კვალიფიციური მწვრთნელები იყო საჭირო.

- საამისოდ რა გაკეთდა?

- კადრებით არ ვიყავით განებივრებულები. საჭირო გახდა ადგილობრივების მომზადება, სხვაგან წასულების უკან მობრუნება. ამ დროისთვის ჩვენი რაიონის მკვიდრი გოდერძი ბოლქვაძე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში მუშაობდა. ხულოსა და აჭარის სპორტკომიტეტის დაჟინებული მოთხოვნით, ის ხულოს რაიონში მოავლინეს და დროებით თაგოს 8-წლიან სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად დანიშნეს იმ პირობით, რომ სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაიონის სპორტული სკოლის დირექტორად გადმოვიდოდა. გოდერძი პარალელურად რაიონის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს ავარჯიშებდა. ამისთვის ოთახი სამხედრო ნაწილს დროებით დავათმობინეთ. ერთხელაც მითხრა: ჭიდაობის მსურველთა რიცხვი მატულობს, ვეღარ ვეტევით ამ ოთახში, მამაჩემს მოველაპარაკე, ჩემი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე უნდა გადავიტანო საჭიდაო ლეიბები და სანამ სპორტული დარბაზი აშენდება, იქ უნდა ვავარჯიშო ბიჭებიო. მეორე დღესვე გადავიტანეთ მის სახლში ლეიბები და დაიწყო სისტემატური ვარჯიში. ორ წელიწადში ხულოელი მოჭიდავეები საქართველოს საჭიდაო ხალიჩებზეც გამოჩნდნენ. ამის შესახებ ითქვა სხვადასხვა შეხვედრაზე, თათბირზე, სპორტულ ღონისძიებაზე, ამის შესახებ დაწერა სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“, „სოვეტსკი სპორტმა“, გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“. გოდერძი ბოლქვაძის დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ხულოს რაიონში ჩამოვიდა „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტი, დაათვალიერა სახლი, სადაც რაიონის სპორტსმენები ვარჯიშობდნენ. გაკვირვებული წავიდა და შესაბამისი ინფორმაციაც გაჩნდა გაზეთში... ეს იყო გოდერძი ბოლქვაძის ენთუზიაზმისა და საქმის სიყვარულის შედეგი. როგორც იქნა სპორტული დარბაზი შევიდა ექსპლუატაციაში. სპორტსმენებს ნორმალური პირობები შეექმნათ ვარჯიშისათვის და შედეგმაც არ დააყოვნა. აჭარის ნაკრებში კი არა, საქართველოს ნაკრებში ათობით ხულოელმა მოჭიდავემ დაიმკვიდრა ადგილი. აქ აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები. ყოველივე ეს გოდერძი ბოლქვაძის შრომით იქნა მიღწეული. მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ მე და გოდერძიმ სპორტსკოლის გახსნის დღიდანვე მიზნად დავისახეთ ხულოს რაიონში წარმატებული სპორტსმენების აღზრდა. მიზანს მივაღწიეთ, რაც უფლებას მაძლევს, განვაცხადო: ჩვენმა თაობამ სამშობლოს წინაშე ვალი ღირსეულად მოიხადა!

- არსებულ მდგომარეობაზე რას იტყვით?

- გავიხსენოთ: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ზუსტად ასეა. ხულოს რაიონის სპორტსკოლის ჭიდაობის მწვრთნელებმა, განსაკუთრებით - ავთანდილ აბულაძემ და აწ განსვენებულმა ლევან შავაძემ მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომით მიაღწიეს სასწაულ შედეგს. მათ ანგარიშზეა ევროპისა და მსოფლიოს 85 ჩემპიონი და პრიზიორები. დაუჯერებელია ამ პატარა რაიონისათვის ასეთი შედეგი, მაგრამ ფაქტია. დარწმუნებული ვარ, რაიონში ეს პროცესი აღარ შეჩერდება. ღრმად მოხუცი - 90 წლის ვარ, მაგრამ გული არ ბერდებაო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა. ბატონი ბახტაძის პრემიერობის დროს პირადად მას გავუგზავნე მედალოსნების სია. იმ დროს 67 მედალი ირიცხებოდა ჩვენი მოჭიდავეების ანგარიშზე და თან საერთაშორისო სტანდარტების სპორტული კომპლექსის აშენება მოვითხოვე. შესაბამისი მიწის ნაკვეთი შერჩეული მქონდა. ამას მარტო ჩემი რაიონის სპორტსმენებისთვის არ ვითხოვდი - აქ წვრთნას გაივლიდნენ საქართველოს სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრები გუნდები, რადგანაც ვარჯიშის დროს კლიმატის ცვლა უკეთესი შედეგის მომცემია სპორტსმენისათვის. რაიონიდან 25 კილომეტრში მშვენიერი სათხილამურო ბაზაა. აი, ასეთი პასუხი მივიღე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან: „კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს ინფრასტრუქტურული სახის სამუშაოები, ამავე დროს, თუ სხვა შესაბამისი უწყების საშუალებით განხორციელდება თქვენს მოთხოვნაში მითითებული სპორტკომპლექსის მშენებლობა, გამოვთქვამთ მზადყოფნას აღნიშნული ობიექტის სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ. გავიდა პერიოდი და, რაიონის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვედა ვაშლოვანში ოთხ ოჯახს გაესაუბრნენ მიწის თაობაზე მშენებლობის განსახორციელებლად. შარშან დაიწყო განსხვავებული პროექტით, მაგრამ ჩემთვის სასურველი დონის სპორტული სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, რომელიც 400 მოსწავლეზეა გათვლილი. შენობა წლის ბოლომდე გადაიხურება. ამ სკოლაში შეიძლება ისწავლოს და ივარჯიშოს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ნებისმიერმა მსურველმა რესპუბლიკის მასშტაბით. ეს ბატონ თორნიკე რიჟვაძის ძალისხმევით მოხდა და დარწმუნებული ვარ, ამ სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდები სპორტის ისტორიაში შევლენ.

50-იან წლებში ხულოს რაიონმა აჭარის პირველობაზე წარადგინა გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ზია ხოშორაძე - სამამულო ომის მონაწილე, ადამ შანთაძე - მძღოლი, შამილ თავართქილაძე - მზარეული, მე, როსტომ აბულაძე - IX კლასის მოსწავლე. არცერთმა არ ვიცოდით, ჭიდაობა ლეიბზე თუ ტარდებოდა, არც ის, საჭიდაო ლეიბი თუ არსებობდა. გვეგონა, სადმე სილიან ადგილს შეარჩევდნენ და იქ გვაჭიდავებდნენ. შეჯიბრება ცირკის შენობაში ჩატარდა. მაშინ ჭიდაობა 15-წუთიანი იყო, ერთი შესვენებით. აჭარის მრავალგზის ჩემპიონს შევხვდი, ერთი ქულით წავაგე, თუმცა ამ შეჯიბრებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში - მეტი ინტერესი და სპორტული ჟინი გამიჩნდა

უსაფრთხო საცხოვრისი წელს 90-მა ოჯახმა შეიძინა

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისი გუშინ დამატებით 8 ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა ბათუმის იუსტიციის სახლში გაიმართა

მიმდინარე წელს სამინისტროს პროგრამით ჯამში 90-მა ოჯახმა ისარგებლა, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია თანადაფინანსებით 120 ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებლის შეძენა.

2024 წელს გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი და 5 016 840 ლარი შეადგინა. შესაბამისად, თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახზე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების წილი 50 000 ლარამდე გაიზარდა. პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ეკომიგრანტთა მუდმივად განახლებად ერთიან ელექტრონულ ბაზაში და მინიჭებული აქვთ პრიორიტეტულობის ქულა.

პროგრამაში ჩართვისთვის ბენეფიციარმა უნდა მიმართოს შესაბამის თვითმმართველ ერთეულს, დაზიანებული საცხოვრებელი ფართის მდებარეობის მიხედვით.

„ბალანსის დაცვას ჯერჯერობით ვახერხებთ, ვნახოთ, რა იქნება მომავალში“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ილია ჭავჭავაძის დრამატულ თეატრში 145-ე თეატრალური სეზონი სპექტაკლით „კაცია-ადამიანი?!“ დაიხურა. სეზონზე 10 ახალი სპექტაკლის პრემიერა შედგა. 146-ე თეატრალური სეზონი ოქტომბერში განახლებული რეპერტუარით გაიხსნება და მაყურებელს საინტერესო სპექტაკლებს შესთავაზებს

ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ***ალექსანდრე ძანთარიას*** *შეფასებით, სეზონი წარმატებული იყო. იგი ამ ინტერვიუში თეატრალურ სეზონს აჯამებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც გვესაუბრება.*

- რამდენად ნაყოფიერი იყო 145-ე თეატრალური სეზონი?

- წელს სულ 10 სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლი დაიდგა და ნამდვილად მრავალფეროვანი სეზონი გამოვიდა. ჩვენთვის უმთავრესი და სასიხარულოა, რომ თეატრი თავის დანიშნულებას ასრულებს და ეს არის საზოგადოების სამსახურში ყოფნა. მთელი სეზონის განმავლობაში გვყავდა მაყურებელი და დარბაზი სავსე იყო. ამდენად, ქალაქის, საზოგადოების სამსახურში ყოფნის მისიას ჩვენ პირნათლად ვასრულებთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია, რეპერტუარს ყოველ სეზონზე განახლება სჭირდება, რომ სხვადასხვა თაობისთვის თეატრში მოსვლა საინტერესო გახდეს. იყო საუბარი, რომ თეატრში ხალხმა კოვიდის შემდეგ დაიწყო სიარული, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ კოვიდი აქ არაფერ შუაშია. ეს არის თეატრის ყოველი თანამშრომლის დამსახურება, სპექტაკლების სწორი დაგეგმარების შედეგი. ჩვენ გვაქვს 2 თვის განრიგი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მაყურებელმა უკვე თვის დასაწყისში იცის - თვის ბოლოს რა პრემიერა ელოდება და ბილეთებიც გაყიდვაშია, რომლის ფასს არ ვზრდით, რადგან ვთვლით, რომ ხალხისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ასეთი ტრადიციების სარეპერტუარო თეატრი აუცილებლად სახალხო უნდა იყოს და ყველასთვის უნდა მოიძებნებოდეს რაღაც საინტერესო - როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სტუდენტებისთვის და, ცხადია, უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის.



- რომელ სპექტაკლს გამოარჩევთ და - რატომ?

- ეს, რა თქმა უნდა, მაყურებელმა უნდა თქვას, თუმცა დავასახელებ ჩემს სპექტაკლს, რომელიც ამ სეზონზე დავდგი - ბულგაკოვის „ბათუმი“, სადაც ასახულია სტალინის ახალგაზრდობა. თბილისშიც გვქონდა წაღებული - რუსთაველის თეატრში, შემდეგ გორშიც ვითამაშეთ. მინდა აღვნიშნო, რომ კიდევ ბევრი ძალიან საინტერესო სპექტაკლი დაიდგა. გამოვარჩევდი „როცა გადაუღებლად წვიმს“, რომელიც მალხაზ ასლამაზიშვილმა მცირე სცენაზე დადგა. ძალიან კარგი იყო „მე ვხედავ მზეს“ და „კაცია-ადამიანი?!“, რომელიც ბოლოს დაიდგა და ამით სეზონიც დაიხურა. ვფიქრობ, ამ სპექტაკლში საინტერესო ფორმაა ნაპოვნი. ცხადია, ყველა სპექტაკლი თანაბარი დონის ვერ იქნება, ეს გამორიცხულია, მაგრამ იმ თამასას არ უნდა ჩამოვცდეთ, რომელსაც პროფესიონალიზმი ჰქვია და ეს არ არის იოლი. დღეს მასობრივი კულტურაა მოზღვავებული. კარგია, რომ ყველა თამაშობს, ყველა დგამს, მაგრამ ზღვარი უნდა არსებობდეს პროფესიონალთა და მოყვარულთა შორის, ეს ზღვარი კი ხშირად იშლება ხოლმე უნივერსიტეტებთან მემორანდუმები გავაფორმეთ, კონტაქტი გვაქვს სტუდენტებთან, მათ პროფესორებთან. სწორედ ამ ყველაფერმა ერთად გამოიღო შედეგი, მაყურებელმა ჩათვალა, რომ ეს მისი თეატრია. ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ჯერ შენი ქალაქისთვის ივარგო, შენმა მაყურებელმა გაღიაროს აქ და კარგ მსახიობად გცნოს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გარბოდე სხვაგან. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბათუმელ მაყურებელს გულშემატკივრობისთვის, ინტერესისთვის და ჩვენც ყველანაირად შევეცდებით, მომავალში უფრო საინტერესო ნაწარმოებები შემოგთავაზოთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის მიერ ყველა ჩემი წამოწყება და ინიციატივა მხარდაჭერილი იყო და სწორედ ამან განსაზღვრა ყველაფერი. როცა ყველას სურვილია, თეატრი ქალაქში იყოს მნიშვნელოვანი, მაშინ ყველაფერი გამოდის.

- როგორ არჩევთ რეჟისორებს, რომლებსაც ბათუმის დრამატულ თეატრში სპექტაკლების დადგმის შესაძლებლობა ეძლევათ?

- სხვათა შორის, ძალიან ბევრი თავად გამოთქვამს სურვილს, რომ ბათუმში დადგას და ახლა სწორედ ამ თამასის შენარჩუნებას ვცდილობთ. პროფესიონალს სხვა თვისებები და მოვალეობები აქვს და ბუნებრივია, მის მიმართ პრეტენზიებიც სხვანაირია.

- ფაქტია, ბათუმის დრამატულ თეატრს აქვს რეპერტუარი, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობდა. მართლაც, საკმაოდ ბევრი სპექტაკლი დაიდგა. როგორ მოახერხეთ ეს?

- სარეპერტუარო თეატრის ტრადიციების ხელმძღვანელი რომ ხდები, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სწორად უნდა გადაანაწილო ყველაფერი. შენი პირველი ამოცანაა მაყურებლის დაინტერესება და მოზიდვა. რაც 2 წლის განმავლობაში შევძელით, ეს არის თანამშრომლების პასუხისმგებლობის ამაღლება. როცა ისინი გრძნობენ, რომ დარბაზი სავსეა, ბუნებრივია, მეტი მოტივაცია აქვთ (როგორც შემოქმედებით, ისე ტექნიკურ პერსონალს), თუმცა ეს პროცესი კიდევ უფრო განსავითარებელია. მოგეხსენებათ, მონიტორი შევიძინეთ, რომელიც თეატრის ფასადზეა დამონტაჟებული, ასევე, ელექტრონული დაფები გვაქვს, ვიყენებთ სატელეფონო შეტყობინებებსაც, ვაქტიურობთ სოციალურ ქსელებში. მაქსიმალურად ვცდილობთ რეკლამით კიდევ უფრო მეტი მაყურებლის მოზიდვას. აღსანიშნავია ისიც, რომ სპექტაკლი და ცხადია, ჩვენც მათი პერსპექტივის მიხედვით ვარჩევთ. ახალგაზრდებსაც არ ვეუბნებით უარს. სამართლე გითხრათ, ძალიან მაინტერესებს, ახალგაზრდა რეჟისორებს რა კითხვები აქვთ სამყაროსთან, რას ფიქრობენ, როგორი ხედვა ახასიათებთ, აქვთ თუ არა ფანტაზია. ძალიან ბევრი რეჟისორია ამჟამად, ჩემ დროს კი სულ რამდენიმე იყო, შეიძლება ითქვას, თითზე ვითვლიდით. სამომავლოდ ჩემი თაობის რეჟისორებსაც ველოდები, მათთან თანამშრომლობის იმედი მაქვს, ვისაც ვენდობი და ვისი პროფესიონალიზმისაც მჯერა. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი არ არის.

- თეატრის ერთ-ერთი დანიშნულება, გართობასთან ერთად, მაყურებლის გემოვნების დახვეწაა. როგორ ფიქრობთ, თქვენი სპექტაკლები აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს?

- ყველა სპექტაკლს აქვს თავისი იდეა. ჩვენს სპექტაკლებშიც არის იდეაცა და პოზიციაც. რა თქმა უნდა, გვაქვს სახალისო, კომედიური ჟანრის სპექტაკლები, რომელთა მიმართ, ცხადია, მეტი ინტერესია და ეს მთელ მსოფლიოში ასეა. ყველას უნდა, გაამხიარულოს და დაასვენოს ხალხი. დანარჩენი სპექტაკლების მიმართაც, იქნება ეს „სოფელსა შინა“, „დედა კურაჟი“ თუ სხვა, არის მაყურებლის ინტერესი, თუმცა დაბალანსებაა საჭირო. არ უნდა გაექცე მაყურებელს და ისეთი რამ არ უნდა დადგა, რომ თქვას - ვერაფერი გავიგე, მაგრამ, ალბათ, საინტერესოაო. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ იქით ხარ, მაყურებელი კი აქეთ. თუ გინდა, მაყურებლები გყავდეს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო მათი ინტერესები, თუმცა თეატრი არ უნდა იქცეს „ოფიციანტად“ - მენიუ გვაქვს, დაგვავალეს, რომ მაინცდამაინც ეს უნდათ, შენც უნდა გაიქცე და მიუტანო. აი, ამიტომაა საჭირო შუალედის პოვნა და ეს, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი. თეატრის დანიშნულებაა, მაყურებელს სიხარულიც მიანიჭოს და, მეორე მხრივ, კითხვები გაუჩინოს, სპექტაკლებით მოუყვეს ამბები, რომლებიც მათთვის დამაჯერებელი იქნება და ამით შთაბეჭდილებას მიიღებენ. ბალანსის დაცვას ჯერჯერობით ვახერხებთ, ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

- ივსება თუ არა თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში დასი ახალი მსახიობებით და რას ეტყვით მათ?

- ბათუმს აქვს ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ცხადია, ჰყავთ სამსახიობო ჯგუფებიც. სტუდენტებთან კონტაქტი გვაქვს, ვცდილობთ, მივცეთ შანსი და გამოჩნდნენ ხოლმე ჩვენს სპექტაკლებში. ვცდილობთ, მათთვის შესაფერისი ნაწარმოები დავდგათ, მათი პრობლემები წარმოვაჩინოთ. მომავალი მათია, ძალიან მიყვარს მათთან მუშაობა. თავად 22 წლის ვიყავი, როცა უკვე სტუდენტები მყავდა და მას შემდეგ მათთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- თქვენმა სპექტაკლმა „სოფელსა შინა“ საკმაოდ ფართო რეზონანსი გამოიწვია. დღესაც მსჯელობენ მის ფინალზე, რომლის სათქმელიც ორგვარად შეიძლება გავიგოთ. გასაგებია, რომ არჩევანი მაყურებელს მიანიჭეთ, მაგრამ თავად თქვენ როგორ გაიგებდით, მაყურებელი რომ ყოფილიყავით?

- ეს არის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოები, სადაც მთავარი ამბავი სწორედ ისაა, რომ ხალხმა დიდი ემოციური აღტყინება განიცადა და ჩათვალა, ყველაფერს მოერევიან. ადამიანს, რომელიც აფრთხილებდა, არ გინდათ, შეჩერდითო, პასუხობდნენ - არა, მოვერევითო, თუმცა როგორც კი ძალა დაინახეს და იმპერიამ სოფლის ასაწოკებლად 5 ათასი ჯარისკაცი გამოგზავნა, ხალხმა უკან დაიხია და ის მარტო დარჩა. ამის გამო პირადი ცხოვრებაც დაენგრა და საბოლოოდ გამოვიდა, რომ თავი გასწირა. ამაზეა სპექტაკლიც, რომ ემოციებს არ უნდა აჰყვეს ხალხი, როდესაც ქვეყნის ბედს ეხება საქმე. საკუთარი თავი შეიძლება გადადო, მგრამ თუ მთელი ქვეყანა შეიძლება საშინელ დღეში ჩააგდო და დაღუპვის პირას მიიყვანო, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ? სწორედ ეს კითხვა მაქვს დასმული. შენ არ უნდა გადაიბირო სხვები, როდესაც ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები დგება წინა პლანზე. ეს მიხეილ ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1905 წელს ჟენევაში დაწერა. ეს მისი ერთადერთი მოთხრობაა და ვფიქრობ, ძალიან საინტერესოდ მოხერხდა მისი დადგმა.

- წინასწარ საკმაოდ დიდი ხმაური ატყდა თქვენ მიერ სტალინზე სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით. რატომ იყო თქვენთვის საინტერესო ამ ისტორიული პიროვნების სცენაზე გაცოცხლება?

- ნამდვილად დიდი ამბავი ატყდა. ჯერ დადგმული არ მქონდა, რეპეტიციები დაწყებულიც არ იყო, როცა ლამის საპროტესტო აქციები დაგეგმეს, რაღაც ჯგუფები გამოჩნდა, წერდნენ: „არ დადგათ!“. ვფიქრობდი, რომ ასეთი აუიოტაჟი კარგია, რადგან ესეც პიარია და ხალხის ინტერესია. დავდგით და ველოდებოდი, რომ ან აქ, ან გორში აქციებით დაგვხდებოდა ხალხი... შენც არ მომიკვდე (იცინის), ყველამ ტაშით და ოვაციებით მიიღო სპექტაკლი. ერთი ნაწილი, ალბათ, სტალინის ხოტბას ელოდა, მეორე კი პირიქით - მის გაშავებას, ჩვენ კი ავსახეთ, როგორ ჩამოვიდა ადამიანი და თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის ხალხი გამოიყენა, მათი გაჭირვებით ისარგებლა, გაფიცა ქარხნები და შემდეგ ტყვიაც კი ასროლინა, რამაც მისი პოპულარობა გაზარდა. ეს ხომ ნამდვილი ამბავია - ბათუმში მოხდა. შემდეგ დეპუტატი გახდა, ჟენევაში მიიწვიეს, ლენინს შეხვდა და მისი კარიერის აღმასვლა დაიწყო, მაგრამ თავიდან ხომ ძალიან მომხიბვლელი იყო და ხალხმაც ხომ დაუჯერა? ეგონათ, ყველაფერს მათთვის აკეთებდა. ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ბოროტებასაც აქვს თავისი ხიბლი და ამ მხრივ ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ხალხი. ასე ვთქვათ, „გაფრთხილება“ სპექტაკლია და ეს რომ დაინახეს, გაკვირვებულები დარჩნენ. ამოღებული ქვები და დროშები უკანვე წაიღეს, ჩანთაში ჩაალაგეს (იცინის).

- რამდენად კომფორტულია თქვენთვის ბათუმის დასთან მუშაობა?

- საინტერესო მსახიობები არიან. როცა ჩამოვედი და გადავხედე, მთელ რეპერტუარში, ძირითადად, 8-12 კაცი თამაშობდა. უამრავი მსახიობი უმოქმედოდ იყო. დღეს რეპერტუარში 16-17 სპექტაკლი გვაქვს და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დასის ყველა წევრი (45 ადამიანი) სპექტაკლებში მონაწილეობს. მათ მოტივაციაც გაუჩნდათ. ზოგადად, მსახიობის პროფესია ბევრ რამეზეა დამოკიდებული - იღბალზეც, პროფესიონალიზმზეც, უნარებზეც... ზოგჯერ ხდება ისეც, რომ იგი რეპერტუარის გარეშე რჩება, იმედი უცრუვდება და ნელ-ნელა თეატრისგანაც უცხოვდება. მსახიობები უკან მოვიყვანეთ და ყველანი დავაკავეთ. ვხედავ, რომ თითოეულს რაღაც პოტენციალი და პერსპექტივა აქვს. მხოლოდ სახელ-გვარით არ უნდა მემსჯელა, ისინი საქმეში უნდა გამომეცადა და ასეც მოვიქეცი. ვნახოთ, მომავალში რა როგორ იქნება. მინდა აღვნიშნო, რომ უპირატესობას ადგილობრივ - ბათუმელ მსახიობებს ვანიჭებ. ჩამოსული გასტროლიორი, რომელმაც სხვა ქალაქიდან უნდა იაროს და თეატრმა ფეხი აუწყოს, ის როდის მოიცლის - გამორიცხულია. მაქსიმალურად ვერიდები ასეთ სიტუაციებს. თეატრი მსახიობს ვერ მოერგება, პირიქით უნდა ხდებოდეს, ჩვენ ჩვენი განრიგი გვაქვს. თუ, დავუშვათ, ორშაბათს პარასკევის სპექტაკლს ნიშნავ, შემდეგ მოხსნი და სამშაბათს გადაიტან, ბუნებრივია, ხალხი ასეთ პირობებში სპექტაკლზე არ ივლის. სტაბილურობა გადამწყვეტია და ამის შენარჩუნებას ვცდილობთ. ვინც ამ სტაბილურობას ხელს არ შეუშლის, ყველასთან ვთანამშრომლობ. პირველია თეატრის ინტერესები და ისინი, ვინც თავის ინტერესებზე მაღლა თეატრის ინტერესებს დააყენებს. ასეთია ჩემი პოზიცია.

- რა სიახლეებს უნდა ელოდოს მაყურებელი ბათუმის დრამატულ თეატრში?

- ბოლოს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ დავდგით. პრინციპული სურვილი გვქონდა, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის რეპერტუარში ამ მწერლის ნაწარმოები ყოფილიყო. მინდა სხვა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიც დავდგათ, ამასთან, აუცილებლად უნდა განვახორციელოთ თანამედროვე და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებიც. შარშან, საახალწლოდ, საბავშვო მიუზიკლი „ურჩხული და მზეთუნახავი“ დაიდგა, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ძალიან მინდა, რაღაც მსგავსი გავიმეოროთ, შემდეგ კი პერსპექტივაში ისეთ კლასიკოსებთან გადავიდეთ, როგორებიც არიან შექსპირი, გოეთე, შილერი, ასევე, თანამედროვე კლასიკოსები. ვხედავ, რომ შეგვიძლია უფრო რთულ პიესებსაც შევეჭიდოთ, მაგრამ, ცხადია, ეს თანმიმდევრობით უნდა მოხდეს. პირველი სტაბილურობის მიღწევა იყო და ეს შევძელით. მომავალშიც ჩვენს მაყურებელს ყველა თაობისთვის მორგებულ, უფრო მრავალფეროვან რეპერტუარს შევთავაზებთ.

„მადლი, რომელსაც გულით გავცემთ, უფალთან გვაახლოებს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მარიამ კოზმანიშვილს კარგად იცნობენ საქართველოში. უკვე მრავალი წელია, „ფეისბუქზე“ აქვეყნებს საკუთარ ლექსებს, რომლებსაც ასობით მკითხველი ჰყავს. ქალბატონი მარიამი ოთხი პოეტური კრებულის ავტორია, ამასთან, საინტერესო ქანდაკებებს ქმნის - მის ხელში ჩვეულებრივი ქვა ცოცხლდება და მიმზიდველ პერსონაჟებად გარდაიქმნება

ხელოვნების მოტრფიალე ქალბატონ მარიამის უმშვენიერესი კარ-მიდამოც მისი ნიჭისა და რუდუნების დასტურია. მან წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომითა და სიყვარულით გამოძერწა საკუთარი თავი. თუ - როგორ, ინტერვიუდან შეიტყობთ.

- პირველი ლექსი... რა იყო შთაგონების წყარო და შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

- პირველი ლექსი თერთმეტი წლისამ დავწერე. ჩემი სახლის ფანჯრიდან ზაფხულის თაკარა მზისფერში მოლივლივე სივრცეს გავყურებდი და ბავშვურმა მუზამ სამშობლოს სილამაზეზე და სიყვარულზე ლექსი დამაწერინა. მას მალე მეორე მოჰყვა - დედისადმი მიძღვნილი. მახსოვს, დედა დაეჭვდა, ნამდვილად მე თუ დავწერე და პროტესტის ნიშნად დავხიე. მიუხედავად ჩემი არცთუ დალხენილი ბავშვობის წლებისა, ლექსის წერის სურვილი არასდროს გამნელებია. სკოლის დამთავრებამდე პერიოდულად იბეჭდებოდა ჩემი ლექსები იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. მეცხრე კლასში ვიყავი, როცა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, გადაცემა „საპოვნელაში“ მოვხვდი სხვა ბავშვებთან ერთად.

- თქვენი ლექსები ყურადღებას იპყრობს, სოცქსელებში მრავალი მეხოტბე გყავთ. „მხოლოდ საკუთარ თავს მინდა ვგავდე“ - წერთ ერთგან. შეძელით თვითრეალიზაცია ისე, როგორც გსურდათ?

- 2011-2012 წლებიდან გავხდი სოცქსელის „ბინადარი“. ფრთხილად, გაუბედავად ვარჩევდი ადამიანებს, ვისი აქტიურობაც ჩემს ყურადღებას იპყრობდა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ადამიანი გახლდათ როლანდ ხოჯანაშვილი, რომელიც ფრიად აქტიური, ხალისიანი და ჩემთვის მისაღები „პოსტებით“ გამოირჩეოდა. გავბედე და ვთხოვე, წაეკითხა ჩემი რამდენიმე ლექსი. სულ მალე როლანდმა თავის „კედელზე“ გააზიარა ჩემი „ბარათი დედას“, რასაც საოცარი გამოხმაურება მოჰყვა. ერთბაშად გამრავლდა და გაიზარდა ჩემი „ფეისსამეგობრო“. ამას მოჰყვა ლექსი „კართან მზე დავდე“, რომელსაც ახალი სახელი - „მზემარიამი“ მოჰყვა ნობათად. მართლაც, ბევრი მკითხველი ჰყავს ჩემს პოეზიას, უფლის წყალობით... ადამიანი მუდმივად ეძებს საკუთარი არსის, ქვეყნად მოსვლის მიზეზს და საიდუმლოს. საკუთარი თავის პოვნა არ არის მარტივი. არც თვითრეალიზაცია მოდის იოლად. ამ ასაკის გადმოსახედიდან, ვფიქრობ, ასე თუ ისე, მაინც მოვახერხე, მეპოვნა ადგილი საზოგადოებაში.

- შთაბეჭდილებები, რომლებიც გასაზრდოებთ?

- ჩემნაირი, მგრძნობიარე ადამიანისთვის შთაბეჭდილებები მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია. ის, რაც სხვას შესაძლოა, საერთოდ არ აინტერესებდეს, ჩემთვის მძაფრი შეგრძნებების წყარო ხდება. ხშირად სცდება პიროვნება და მისი შემოქმედება ერთმანეთს, რის გამოც მიცრუვდება იმედი. გული მწყდება, როცა აღმოვაჩენ, რომ კარგი ლექსის მიღმა ამპარტავანი, საკუთარ თავზე შეყვარებული ცინიკოსი დგას. სიკეთეს, თავმდაბლობას, გულწრფელობას მოაქვს ჩემთვის წარუშლელად მშვენიერი შთაბეჭდილება, რომელიც სამომავლო გზაზე სიარულის ძალად მეხიდება.

- თქვენი ეზო-მიდამო წალკოტს დაამსგავსეთ...

- დავიბადე და გავიზარდე კახეთში. ჩემი მშობლიური სოფელი უაღრესად დიდი ისტორიის მატარებელია. მას ძველად „ქრისტეს საფლავის მიწად“ მოიხსენიებდნენ. არცთუ ვრცელ ტერიტორიაზე 80-მდე ეკლესია და საყდარია მიმოფანტული. ამავე სოფლის მკვიდრი გახდა ჩემი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი. მოხდა ისე, რომ 90-იან წლებში მოგვიწია სოფლიდან ქალაქ თელავში გადასვლა საცხოვრებლად, უკვე სამ შვილთან ერთად. 30 წელი ვიცხოვრეთ კორპუსის ბინაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მენატრებოდა საკუთარი სახლი და ეზო. 2020 წელს მოხდა სასწაული და დავუბრუნდით საკუთარ ფესვებს. სახლი, რომელიც შევიძინეთ, ყოფილი მფლობელის მკვეთრად შერყეული ჯანმრთელობის გამო მოუვლელი, ეზო გაუდაბურებული გახლდათ. დღეს, ჩემი და ჩემი მეუღლის წყალობით, დამშვენდა, გასუფთავდა, ბაღში არსებულ ნარგავებს, უამრავი ახალი ხე და ყვავილი შეემატა და გამვლელ-გამომვლელთა, მომსვლელ-წამსვლელთა აღტაცების ობიექტად იქცა.

- უმთავრესი, ჩვენს ადამიანობას რომ განსაზღვრავს...

- რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობდი ჩემს ფეისმეგობრებს, დამჭირდა თანხა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმისთვის. ან საბანკო მომსახურებით უნდა მესარგებლა, რაც იმ დროს უმძიმეს ტვირთად მექცეოდა, ან სხვა გზა უნდა მომეძებნა. ვინაიდან ჩემში მეოცნებე მარადიულად სახლობს, სოციალური სივრცის მეშვეობით გავუგზავნე სურვილი სამყაროს. ორიოდე წუთში წავშალე ჩემი გულუბრყვილო გზავნილი და... ჰოი, საოცრებავ! გაიხსნა ჩემი „მესენჯერი“ და უცნობმა ქალბატონმა დახმარება შემომთავაზა! ორიოდე დღეში საჭირო თანხა ბანკის მეშვეობით გადმომირიცხა გაოგნებულს. კითხვაზე, „როგორ მენდო მე, მისთვის უცხოს?“, მიპასუხა: „თქვენ ისეთ ლექსებს წერთ, ტყუილს არასდროს იკადრებთ“. ეს უანგარო და გულწრფელი სიკეთე ჩემთვის ადამიანობის განმსაზღვრელი, უდიდესი გაკვეთილი გახლდათ. მადლი, რომელსაც გულით გავცემთ, უფალთან გვაახლოებს.

- ნატვრა და ოცნება, მუდამ თან რომ გდევთ...

- ურთულეს დროში გვიწევს ცხოვრება - პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ გაგვყო, გაგვთიშა და დაგვაპირისპირა არა მარტო უცხო და შორეული ადამიანები, არამედ ოჯახის წევრებიც... კამათი, წყევლა, გინება, ცინიზმი სამარცხვინო რეალობად იქცა. საოცარი ხალხი ვართ: ერთდროულად კეთილნიც და ბოროტნიც... სიხარულში, ბედნიერებაში, ქვეყნის სიყვარულში გაერთიანებულ, გამთლიანებულ, გასულდიდებულ, ღირსეულ ერსა და ბერზე ვოცნებობ.

- „დრო, დრო აღნიშნე“ - თქვენი რეაქცია ამ ფრაზაზე.

- დრო, რომელშიც ვიმყოფებით, ვქმნით, ვაშენებთ, მეტად მნიშვნელოვანია. ვიჩხრიკებით წარსულში, ვიძიებთ მომავლის იდუმალებას, მაგრამ ვიღწვით ახლა და აქ, სადაც ვიმყოფებით კონკრეტულ მდგომარეობაში. ლექსს, მუსიკას, ნახატს... ყველაფერს, რასაც ჩვენი გონება და თითები ქმნის, თარიღი არ უნდა დავუკარგოთ. „ხვალე“ თავისას მოიტანს. დღეს ნაღვაწი სწორედ ხვალეს რჩება განსასჯელად.

- რას შეცვლიდით ჩვენს წეს-ჩვეულებებში და რომელ ტრადიციას უნდა ვუერთგულოთ?

- ბევრი საუკეთესო წეს-ჩვეულება გვაქვს შემორჩენილი ქართველებს, რაც ჩვენს იდენტობას უსვამს ხაზს. წეს-ჩვეულება და კულტურა განასხვავებს ერებს ერთმანეთისგან. შევცლიდი, რომ შემეძლოს, ქელეხის მრავალსტუმრიანი სუფრის „ჩვეულებას“. უფრო მეტად განვამტკიცებდი უფროსისადმი (მშობლისადმი, ბებია-პაპებისადმი) პატივისცემასა და მოწიწებას. ყველა გონიერ ადამიანს შეუძლია, უარყოს ცუდი და უერთგულოს ძვირფას ტრადიციებს.

- რას ფიქრობთ, როგორი მკითხველები ვართ უმეტესობა და... თავად თქვენ?

- უფრო გულმოდგინე და კარგი მკითხველი გახლდით წლების წინ, როცა არ იყო ინტერნეტი. დღე და ღამეს ვასწორებდი წიგნის კითხვაში. ახლა მეც, ისევე როგორც ბევრი ჩვენს დროში, წიგნის საკითხავად „ვეღარ ვიცლი“, თუმცა აქ - სოცსივრცეში გამოქვეყნებულ საკითხავს თვალს ვერ ვარიდებ. დიდ სულიერ კმაყოფილებას ვიღებ კარგი ავტორების, კარგი ნაწარმოებების კითხვისას. მგონი, კარგად ვარჩევ ღირებულს მდარესგან. სამწუხაროდ, სუსტ და უღიმღამო ლექსებსაც ჰყავს მომწონებელი და ხოტბისშემსხმელი, მაგრამ ეს კატეგორია, როგორც მკითხველი, მოიკოჭლებს. მიუხედავად ყველაფრისა, გონიერი მკითხველი ყოველთვის იყო და არის. მადლობა მათ, ვისაც ძალუძს, იყოს გულწრფელი და მიუკერძოებელი შემფასებელი!

- წიგნი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ...

- ბევრი წიგნი მიყვარს. ბევრის კითხვას დავბრუნებივარ განმეორებით, ამიტომ თავს შევიკავებ ერთის დასახელებისგან.

- როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი, რომელში ცხოვრებაც მოუწევთ თქვენს შვილიშვილებს?

- ავსა და დაულაგებელ დროში უწევთ ცხოვრება ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. მათ (პატარების) უმწიფარ გონებას უჭირს გარკვევა ცუდსა და კარგს შორის. ჩვენი ბავშვები იძულებულნი არიან, ჩაერთონ პოლიტიკურ ვნებათაღელვაში და უფროსების წაბაძვით აკეთონ მათი ასაკისა და გონებისთვის შეუფერებელი განცხადებები. სამწუხაროდ, უწევთ უყურონ ქუჩებსა თუ ტელეეკრანებზე უღირსი ადამიანების სამარცხვინო ქცევებს. მეოცნებება მათთვის ღირსეულ, სამართლიან, ზნეობრივად ამაღლებულ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც სრულად გამოავლენენ საკუთარ ცოდნას და სადაც შესაბამისად დააფასებენ. მინდა ჩვენი მომავალი თაობა ქვეყნის კეთილდღეობასა და სიკეთეზე იყოს ორიენტირებული.

- როცა ისტორიის სამანებში მოგზაურობთ, ვის გაცოცხლებას ისურვებდით?

- საუკეთესო წინაპრები გვყავდა ქართველებს, საუკეთესო ისტორიული გმირები. დღევანდელი სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებელს გავაცოცხლებდი.

- რას ურჩევთ ახალგაზრდებს, როგორ დააკვალიანებთ მათ?

- მომწონს და მიყვარს ის სიჯიუტე, გულანთებულობა და დამოუკიდებლობა, რაც დღევანდელ ახალგაზრდობას ახასიათებს. ალბათ რჩევებს აქეთ უნდა ვიღებდეთ მათგან. და მაინც... ვისურვებდი, ჰქონდეთ მეტი განათლება, ინტელექტი, რომ ადვილად არ მოექცნენ სხვათა გავლენის ტყვეობაში და სწორად, ღირსეულად გადადგან ნაბიჯები.

- თავად რას ჰკითხავთ საკუთარ თავსა და სხვებსაც?

- საკუთარ თავს: როდემდე უნდა იაროთ ასე - დაკარგულივით ჩუმად და კენტად? სხვებს: როდის იქნებით ერთიანნი, ერთმანეთის თანამდგომნი და სამართლიანები?

„ურთულეს დროში გვიწევს ცხოვრება - პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ გაგვყო, გაგვთიშა და დაგვაპირისპირა არა მარტო უცხო და შორეული ადამიანები, არამედ ოჯახის წევრებიც... კამათი, წყევლა, გინება, ცინიზმი სამარცხვინო რეალობად იქცა. საოცარი ხალხი ვართ: ერთდროულად კეთილნიც და ბოროტნიც... სიხარულში, ბედნიერებაში, ქვეყნის სიყვარულში გაერთიანებულ, გამთლიანებულ, გასულდიდებულ, ღირსეულ ერსა და ბერზე ვოცნებობ“

საინფორმაციო შეხვედრა - საარჩევნო სიახლეების შესახებ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში, სასტუმრო „ლე მერიდიენში“ საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნების სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ შშმ პირებთან, კონკრეტულად, სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების დემონსტრაციასთან ერთად, იმიტირებული კენჭისყრაც მოეწყო

შეხვედრას უძღვებოდნენ უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია, „IFES საქართველოს“ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ინკლუზიის მენეჯერი მირანდა ტყაბლაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაში, ცესკოს სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი სოფიო სიჭინავა, საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი ამირან ბატატუნაშვილი და უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი ციალა შავაძე.

შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. ცესკოსა და უსკოს წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ და შშმ პირებს გააცნეს, რა რესურსი დახვდებათ საარჩევნო უბნებზე იმისთვის, რომ ხმის მიცემის უფლებით შეუზღუდავად ისარგებლონ.

- ძალიან მნიშვნელოვანია ინკლუზიური გარემოს არსებობა. საარჩევნო ოლქებში დასაქმებულებიც უნდა იყვნენ გადამზადებულები, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები დააკმაყოფილონ. მნიშვნელოვანია ასეთი ინფორმაციული შეხვედრები, რადგან საარჩევნო სისტემაში სიახლეები ხშირად აშინებთ შშმ პირებს და უკან იხევენ. სწორი ინფორმირებულობა არჩევნებში მათ აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. ასევე, საჭიროა, პარტიების პროგრამები იყოს ადაპტირებული ჟესტურ ენაზე, რათა ყველა ადამიანმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს და არავის ხმა არ დაიკარგოს, - განაცხადა ამირან ბატატუნაშვილმა.

- დღევანდელი შეხვედრის მიზანია, შშმ პირებს ის დამატებითი ტექნოლოგიები გავაცნოთ, რომელიც მათ საარჩევნო უბნებზე დახვდებათ და არჩევნებზე მოსულებისთვის უკვე ეს სიახლე აღარ იქნება, - გვითხრა პარმენ ჯალაღონიამ.

- ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული ყველა საინფორმაციო მასალა აღჭურვილია QR წამკითხველით, რომელიც დახვდებათ უბანზე მისულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს. QR წამკითხველის საშუალებით, როგორც სმენადაქვეითებული, ასევე უსინათლო ამომრჩევლები, მიიღებენ ინფორმაციას მათთვის გასაგებ ფორმატში. იგულისხმება ჟესტური ენა და გახმოვანებული ფორმატი. კანონმდებლობა აძლევს შშმ ამომრჩეველს, მათ შორის, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს, შეიცვალონ თავიანთი საარჩევნო უბანი, თუ ის არ არის ადაპტირებული, - განაცხადა სოფიო სიჭინავამ.

სატენდერო მოწვევა - წინასაკვალიფიკაციო აპლიკაციებისთვის

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტი: ახალი ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (BAT-V) - ჩაქვისწყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია.

ტენდერის №: **BAT V - YBC 02**

შესყიდვის №: **511453**

თარიღი: **5 ივლისი, 2024 წ.**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიიღო დაფინანსება KfW ბანკიდან **„ახალი ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (BAT - V)“** პროექტის ფარგლებში. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი მოხმარდება **„ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის“** კონტრაქტის დაფინანსებას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი აცხადებს **„ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის“** წინასაკვალიფიკაციო ეტაპისთვის დალუქული აპლიკაციების მიღებას უფლებამოსილი მონაწილეებისგან. კონტრაქტის შესრულება დაგეგმილია **FIDIC-ის ყვითელი წიგნის საკონტრაქტო პირობებით.** სამუშაოები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

a) ჩაქვისწყლის არსებული გამწმენდი ნაგებობის სრული რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების დაპროექტება და მშენებლობა. გასათვალისწინებელია, რომ ჩაქვის არსებული წყლის გამწმენდი ნაგებობა უნდა დარჩეს ექსპლუატაციაში სამუშაოების მიმდინარეობისას.

b) ახალი გამწმენდი ნაგებობა უნდა მოიცავდეს გაწმენდის შემდეგ საფეხურებს:

a. ქვიშის დამჭერი;

b. წინასწარი ქლორირება;

c. მინერალიზაცია (კარბონატის სიხისტის გაზრდა) და pH-ის კორექტირება (თავდაპირველად ნახშირორჟანგით [CO_2], ხოლო შემდგომ კირის საშუალებით [$Ca(OH)_2$]);

d. კოაგულაცია (ალუმინის სულფატის საშუალებით);

e. pH-ის კორექტირება;

f. პირდაპირი გაფილტვრა;

g. პოსტ-ქლორირება.

c) კონტრაქტორს შესაბამისად ევალება კონცეპტუალური პროექტის გადაკეთება და მთლიანი ნაგებობის სამუშაო პროექტის სრულად მომზადება, მ.შ. ახალი თევზსავალი ნაგებობა და ახალი ქვიშის დამჭერი, ასევე სათავე ნაგებობისა და ადმინისტრაციული შენობის გაუმჯობესება.

d) სასმელი წყლის ახალი გამწმენდი ნაგებობა უნდა ეფუძნებოდეს კონვენციონალური წყლის გაწმენდას მდინარის წყლებისთვის თანამედროვე სისტემის შესაბამისად.

e) გაწმენდის პროცესისა და დანადგარების დაპროექტება უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების (დადგენილება №58) დასაკმაყოფილებლად გარდა სიმღვრივისა, რომლის მაქსიმალური მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს 1-ს.

f) ნაგებობას უნდა შეეძლოს ნედლი წყლის გაწმენდა მაქსიმუმ 1100 ლ/წმ მოცულობით ახალი ქვიშის დამჭერი ნაგებობის შემდეგ.

g) ქვიშის დამჭერ ახალ ნაგებობამდე არსებულ ყველა კომპონენტს მცირე ხანგრძლივობით უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს წყალადებას 1450 ლ/წმ მოცულობით. მდინარეში არსებულ კონსტრუქციებს (თევზსავალი ნაგებობა) უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს მომავალში მოსალოდნელ დატბორვის შემთხვევებს.

h) შიდა საწარმოო დანაკარგები (ქვიშის დამჭერი ნაგებობის შემდეგ) არ უნდა აღემატებოდეს მიღებული ნედლი წყლის მოცულობის 6%-ს.

i) ნაგებობას უნდა შეეძლოს ნედლი წყლის წყალადების საპროექტო მოცულობის სიმღვრივის მაჩვენებლის შემცირება მაქსიმუმ 45 NTU-დან 1 NTU-მდე, რა დროსაც დაცულია საქართველოში მოქმედი სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა დანარჩენი მოთხოვნა და შიდა წარმოების დანაკარგები არ აღემატება 6%-ს.

j) ნაგებობის შესაძლებლობებში უნდა შედიოდეს 45 NTU-ზე უფრო მაღალი მაჩვენებლის წყლის გაწმენდა ნედლი წყლის წყალადების მოცულობის შემცირების ხარჯზე.

k) შესაძლებელი უნდა იყოს მაქსიმუმ 120 NTU-მდე მაჩვენებლის მქონე წყლის გაწმენდა საპროექტო წარმადობის 25%-მდე შემცირების ხარჯზე!

l) 120 NTU-ზე მეტი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში ნაგებობა უნდა ითიშებოდეს ავტომატურ რეჟიმში.

კონტრაქტი ითვალისწინებს **პროექტის შემუშავებისთვის 6 თვეს, მშენებლობის წარმოებისთვის 19 თვეს** და **6 თვეს საექსპლუატაციო ტესტირებისთვის, პროცესების ოპტიმიზაციისთვისა და დატრენინგებისთვის.**

2. ტენდერი ჩატარდება **საერთაშორისო საკონკურსო ტენდერის** (International Competitive Bidding - ICB) **ორეტაპიანი შერჩევის პროცედურებით,** რომელიც ასახულია *KfW-ს პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვების გაიდლაინებში (დათარიღებული 2019 წლით, მეორე განახლება - 2023 წლის ნოემბრით). გაიდლაინების გადმოწერა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან:*

www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Publications/Guidelines.

აპლიკაცია ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი მონაწილისთვის, როგორც ეს ასახულია KfW-ს გაიდლაინებში.

3. წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი გახდება აპლიკაციის წარმოდგენისას ქვევით მითითებულ მისამართზე. დოკუმენტაცია უფასოა. მონაწილეებმა უნდა დაადასტურონ წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში მიღება წერილის ან ელექტრონული წერილის საშუალებით. მხოლოდ დადასტურებული ელექტრონული ვარიანტები მიიღება როგორც წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაცია!

4. წინასაკვალიფიკაციო აპლიკაცია გაგზავნილი უნდა იყოს მისამართზე, რომელიც მითითებულია PQ დოკუმენტის თავი ITA 17.1-ში არაუგვიანეს 2024 წლის 12 აგვისტოსა (ორშაბათი), ბათუმის დროით დილის 11:00 საათისა. დაგვიანებით წარმოდგენილი აპლიკაციები არ მიიღება. აპლიკაციები საჯაროდ გაიხსნება მონაწილეების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით ქვევით მითითებულ მისამართზე **2024 წლის 12 აგვისტოს (ორშაბათი), ბათუმის დროით დილის 11:30 საათზე.**

5. მისამართი, რაზეც მითითებაა გაკეთებული ტექსტში:

ქალაქ ბათუმის მერია
მიმღები: ქ.-ნი მაია ზოიძე
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური
საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი
ლუკა ასათიანის ქ. №25
ქალაქი: ბათუმი
საფოსტო კოდი: 6010
ქვეყანა: საქართველო
ტელეფონი: +995 422 27 26 27
ელექტრონული მისამართი:
batumiproject@gmail.com, pea@batumi.ge

INVITATION FOR TENDER - PREQUALIFICATION APPLICATIONS

Country: **REPUBLIC GEORGIA**

Project: **Rehabilitation of Communal Infrastructure of New Batumi (BAT V) - Rehabilitation of Chakvi WTP**

Tender No: **BAT V - YBC 02**

Procurement No. **511453**

Date: **5th July, 2024**

1. The **Municipality of Batumi** has received financing from KfW toward the cost of the Project **"Rehabilitation of Communal Infrastructure of New Batumi (BAT - V)"**, and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for **"Rehabilitation of Chakvi WTP".** The Municipality of Batumi now invites sealed Applications for Pre-qualification from eligible bidders for **Rehabilitation of Chakvi WTP**, to be implemented under the **FIDIC Yellow Book conditions of Contract.** The Works consist of:

a) Design and build of full rehabilitation and improvement of the existing Chakvi WTP. Note, the existing Chakvi WTP must remain in operation during the works.

b) The new plant includes the following treatment steps:

a. Grit Removal

b. Pre-chlorination

c. Mineralization (increasing carbonate hardness) and pH-adjustment (firstly with carbon dioxide [CO_2], and subsequently lime milk [$Ca(OH)_2$])

d. Coagulation (by Al Sulphate)

e. pH-correction

f. Direct Filtration

g. Post-chlorination

c) The Contractor shall hence re-do the conceptual design and prepare the full working designs of the whole Plant, including also the new fish pass and the new grit chamber and the improvements at the intake and the administration building.

d) The new drinking water treatment plant shall be based on conventional water treatment for river water according to the state-of-the-art.

e) The process and equipment shall be designed to achieve the valid Georgian Drinking Water Standard ("Decree N58"), except for NTU which shall be max 1.

f) The plant shall be able to treat raw water of a volume of maximum 1,100 l/s after the new grit chamber.

g) All components until the new grit chamber shall for short term be able to cope with an intake rate of 1,450 l/s. The structures in the riverbed (fish pass) shall be able to cope with the expected future flood events.

h) The internal production losses (downstream of the new grit chamber) may not exceed 6% of above raw water volume.

i) The plant must be able to reduce turbidity at the design raw water intake capacity from maximum 45 NTU down to 1 NTU, while maintaining all other requirements of Georgian Drinking Water Standard and at internal production losses not higher than 6%.

j) The plant shall allow treatment of higher NTU levels than 45 NTU while reducing raw water intake volumes.

k) A reduction to 25% of the design capacity to treat max 120 NTU must be possible!

l) Beyond 120 NTU the plant shall be switched off automatically.

The contract will cover **a design period of 6 months, a construction period of 19 months, and a period of 6 months for performance tests, process optimisation and training.**

2. Bidding will be conducted through the **International Competitive Bidding (ICB) Two-Stage Selection** procedures as specified in the *KfW Guidelines for Procurement of Goods, Works and associated Services in Financial Cooperation with Partner Countries* (January 2019, 2nd update in November 2023). The Guidelines can be downloaded from ***www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development- Bank/Publications/Guidelines.*** Application is open to all eligible bidders as defined in the KfW Guidelines.

3. A complete set of prequalification documents in electronic form will be made available upon submission of an application to the address below. The documents are free of charge. Bidders must confirm receipt of the electronic prequalification documents by letter or e-mail. Only confirmed electronic versions are accepted as prequalification documents issued by the Employer!

4. Applications for Prequalification must be delivered to the address indicated in the clause ITA 17.1 of the PQ document on or before 11:00 a.m Batumi Time on Monday 12th August, 2024. Late Applications will be rejected. Applications will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives at the address below on **Monday 12th August, 2024 at 11:30hrs Batumi time.**

5. The address referred to above is:

Batumi Municipality City Hall Attn: Mrs. Maia Zoidze
Head of Municipal investment and Grant Program Division of Municipal Policy Department
Luka Asatiani Street No. 25
City: Batumi ZIP Code: 6010
Country: Georgia Telephone: +995 422 27 26 27
Electronic mail address: batumiproject@gmail.com, pea@batumi.ge

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეფიის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 11/07/24, 18 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მუსიკა – განწყობისთვის“

ზღვისპირა პარკში, საზაფხულო თეატრთან, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიურმა კამერულმა გუნდმა (სამხატვრო ხელმძღვანელი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გელა ვადაჭკორია) ბათუმელების და ქალაქის სტუმრებისთვის კლასიკური მუსიკის კონცერტი სლოგანით „მუსიკა - განწყობისთვის“ გამართა

ორგანიზატორებმა ისეთი ნაწარმოებები შეარჩიეს, რომლებიც ღია ცის ქვეშ მოსასმენად ყველასთვის - როგორც ბათუმელებისათვის, ისე ქალაქის სტუმრებისთვის, მისაღები იქნებოდა. რეპერტუარმა გაამართლა - მსმენელი კმაყოფილი დარჩა. საერთოდ, ღია ცის ქვეშ შესრულება არ არის ადვილი, მაგრამ როგორც ქალბატონმა ზაირამ აღნიშნა, ყველა გვერდით დაუდგა, მათ შორის, ტექპერსონალი, რომელმაც გახმოვანება მოაწესრიგა და... არაჩვეულებრივი საღამო გამოვიდა, შესრულდა ქართველი კომპოზიტორების საგუნდო მუსიკა, პოპულარული ნაწარმოებები კინოფილმებიდან, ასევე ნახევარი საუკუნის წინ დაწერილი მუსიკა, მათ შორის შოთა მილორავას, გია ყანჩელის, გოგი ცაბაძის, გერშვინის, ნატო გელაშვილის, იოსებ კეჭაყმაძის ნაწარმოებები.

შესანიშნავად შეასრულა გუნდმა სიმღერები და ჯილდოდ დამსახურებული ტაშიც მიიღო. ალბათ, უპრიანია, სოლისტებიც დავასახელოთ: დიანა ავალიანი, ნატო ვადაჭკორია, ნონა ვართანიანი, ირინა შავიშვილი...

ქალთა კამერული გუნდი 1996 წლიდან არსებობს და არაერთი კონკურსის ლაურეატია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. იგი ყოველთვის ღირსეულად წარმოაჩენს ქვეყანას. გუნდმა წელი წარმატებულად დაიწყო, შესანიშნავად გამოვიდა თბილისის კეჭაყმაძის საიუბილეო საგუნდო მუსიკის საღამოზე.

- პირველად ჩავატარეთ ასეთი ტიპის კონცერტი აქ, ბათუმში. ჩვენი აკადემიური გუნდი კამერული შემადგენლობით ყოველთვის ერიდება ღია ცის ქვეს გამოსვლას, რადგან ის, რაც ბგერასთანაა დაკავშირებული რომ წარმოვაჩინოთ, გადმოვცეთ კომპოზიტორის ჩანაფიქრი, ღია ცის ქვეშ ძალიან ძნელია. ვფიქრობ, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. მსმენელისა და მომღერლების კოლაბორაცია შედგა. წელს თბილისშიც, ტრადიციულ საგუნდო საერთაშორისო ფესტივალზე საინტერესო პროგრამით წარსვდექით, კათოლიკურ ტაძარში ვიმღერეთ, კონცერტმაისტერმა ნინო ნიშნიანიძემ საორღანო პარტია შეასრულა. აქ ჩამოსვლის შემდეგ, გერშვინის „ავე მარია“ იგივე შემადგენლობით, უკვე ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში ვიმღერეთ. 17 ნოემბერს, რუსუდან ხორავას საიუბილეო საღამოა, სხვა ცნობილ გუნდებთან ერთად, თბილისის კონსერვატორიაში ჩვენც გამოვალთ. მან უკვე გამოგვიგზავნა საკუთარი საგუნდო ნაწარმოებები და, სავარაუდოდ, ამ სიმღერის პირველი შემსრულებლები ვიქნებით, - გვითხრა ზაირა ვადაჭკორიამ.

თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა

ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ვერნისაჟზე 11 მხატვრის ნახატი იყო წარმოდგენილი, მათ შორის, ლელა კვიტაიშვილის, გუგა ხალვაშის, მზია შარაბიძის, ევა კვარაცხელიას, კახა ქათამაძის, ინგა დავითაძის, ნათია გრიგოლიას, ირაკლი ცეცხლაძის, ქეთევან ბოლქვაძის, ენძელა ბოლქვაძის, ნათია ასლანიძის. როგორც აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ გვითხრა, ასეთი გამოფენა პირველად მოეწყო თვითნასწავლ მხატვართა წასახალისებლად.

- სამყარო მშვენიერია და ამ სილამაზის აღქმა და სხვებისთვის გადაცემა უკვე ხელოვნებაა. სასიამოვნოა, როცა ადამიანს შეუძლია, გაალამაზოს როგორც საკუთარი ცხოვრება, ისე სხვისი. ამ გამოფენაზე სწორედ ეს ვნახეთ, - გვითხრა ბათუმელმა ალეკო გეგენავამ.

- საინტერესო პრეცედენტია, რომ თვითნასწავლი და მოყვარული მხატვრების გამოფენა მოეწყო. მხატვართა კავშირის გამოფენებშიც მონაწილეობენ ეს ადამიანები, მაგრამ ასე, ცალკე, დამოუკიდებლად მათი ნამუშევრების გამოფენა პირველია. ეს ნამდვილად კარგია. ზოგს ნაწილობრივ აქვს მიღებული სამხატვრო განათლება, მაგრამ შემდეგ სხვა მიმართულებით განავითარა თავისი ცოდნა. აუცილებელია ასეთი შეხვედრები. იყო მოყვარული მხატვარი არ ნიშნავს, რომ განვითარებაზე არ იფიქრო. არ ვამბობ, რომ ყველამ აკადემიური ხატვა ისწავლოს, მაგრამ თავისი შემოქმედების მაქსიმუმისკენ ყველა ადამიანი უნდა ისწრაფოდეს, - გვითხრა მხატვარმა მაია ჭყონიამ.

- ეს ჩემი პირველი გამოფენაა. სამხატვრო სკოლაში მისვლის დღიდან ვხატავ. მერე სამხატვრო კოლეჯში მოვეწყვე. ახლა უკრაინაში, ოდესაში, უკვე ორი წელია ომის გამო, დისტანციურად ვსწავლობ. წყალტუბოში ვცხოვრობ და ეს ნამუშევრები იქ დავხატე, - გვითხრა 17 წლის ევა კვარაცხელიამ, რომლის ოჯახი აფხაზეთიდანაა, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ, საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა. სამწუხაროდ, ახლა იქაც ომია.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა